ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 8 ივლისი 1999 №127 (900) | ფასი 50 თეთრი


## დინამო 10 მოყვარულები 0

საქართველოს ჩემპიონმა ჰოლანდიური შეკრების პირველ მატჩში „ჰოვარდემი“ დაამარცხა

## ვინც ეძებს, კიდეც პოულობს

„ვიტ ჯორჯიას“ ტექნიკური სპონსორი ესპანური „კელმე“ იქნება

## აზიას ევროპის ხარჯზე

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად 15-დან ერთი ევროპული გუნდი დამატებით მატჩებში აზიისას შეხვდება

## პერუცი ინტერში

იუვენტუსის მეკარე „ინტერმა“ 14,78 მილიონ დოლარად შეიძინა

## სლოვენიიდან მსოფლიოს ჩემპიონატი ჩანს

ქართველი კადეტი კალათბურთელები ევროპის ჩემპიონატის წინ სტეფანიამაც წაავარჯიშა



## აგასის უცნაური მოგზაურობა

ანდრე ისევ პირველია, თუმცა შილდსისგან ვერ განიკურნა

# გურჯი შაითანი თურქეთში ბრუნდება?

## ფენერბაჰჩე აიაქსს შოთა არველაძეს სთხოვს

გუშინ დილით ჰოლანდიურმა სააგენტომ ANP, საღამოს კი „როიტერმა“ გაავრცელეს ცნობა „აიაქსის“ ქართველი თავდამსხმელის შოთა არველაძის თურქულ „ფენერბაჰჩეში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე.

„როიტერის“ ვარაუდით, „აიაქსის“ მიერ ჰოლანდიური „ვიტესის“ ბერძენი თავდამსხმელის, ნიკოს მახლასის შეძენის შემდეგ თურქებს იმედი გაუჩნდათ, „აიაქსი“ შესაძლოა, შოთას შეელიოს, მითუმეტეს მისი მწვრთნელი იან ვოუტერსი არაერთხელ ტრავმირებული შოთა არველაძის თამაშით წინა სეზონში მთლად კმაყოფილი არ იყოო.

ამსტერდამელებს მახლასის ორწლიანი კონტრაქტი კლუბისთვის სარეკორდო თანხა, 8 მილიონ 800 ათასი დოლარი დაუჯდათ და ANP-ს ცნობით, ლონდონური „არსენალის“ ჰოლანდიელი ფორვარდის დენის ბერხკამპის დაბრუნებაც სურთ.

თურქები, რომლებსაც „ტრაბზონსპორში“ შოთა არველაძის შაითანური თამაში ახსოვთ, ეტყობა, ამანაც შეაგულიანა და „აიაქსსაც“ შეხმიანებიან.

— მე აღარ მეკითხებიან, მსურს თუ არა თურქეთში თამაში? — გვითხრა გუშინ შოთა არველაძემ, რომელსაც ამსტერდამში ტელეფონით გავესაუბრეთ.

— „ფენერბაჰჩეს“ ადრეც სურდა ჩემი შეძენა, მაგრამ მაშინ, ცხადია, „აიაქსი“ ვარჩიე და ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ახლა კი, მახლასის ყიდვის ამბავი რომ შეიტყვეს, იფიქრეს, ვითარება საჩვენოდ შემობრუნდა, ეგებ ამსტერდამელებმა უარი არ გვითხრანო. ალბათ ამიტომაც დარეკეს „აიაქსში“, მაგრამ აქაურები ჩემს დათმობას არ აპირებენ. თანაც, არც მე მსურს თურქეთში დაბრუნება.

„ფენერბაჰჩეს“ არველაძით დაინტერესება კიდევ ერთმა ტრანსფერმა განაპირობა. გუშინწინ „რეალმა“ სტამბოლელებს მადრიდელთათვის სარეკორდო თანხა 15 მილიონი დოლარი გადაუხადა ბოსნიელ თავდამსხმელ ელვირ ბალიჩში. თურქები მთავარი მეგოლის გარეშე დარჩნენ და შოთაც ამიტომ გაიხსენეს.

შოთას ამბავს, ბარემ, მისივე თანაგუნდელის გიორგი ქინქლაძისაც მოვაყოლოთ. „აიაქსში“ შოთასთან ერთად მოვარჯიშე ქინქლაძის ახალი კლუბი დღე-დღეზე უნდა გაირკვეს. ისე კი, ითქვა, ქინქლაძე „აიაქსში“ რჩებაო, მაგრამ, როცა ამის თაობაზე თავად გიოს დავეკითხეთ, გაიკვირვა — სულაც არ ვაპირებო.

ბადრი ქუთათელაძის ფოტო



რა ურჩევნია შოთა არველაძეს: შოუთაიმობა თუ შაითანობა?

# გურუჯიმ მსოფლიოს მილი დაუმოკლა




გუშინ რომში, მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ მეორე ტურნირზე, მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ მართლაც ოქროს შედეგით დაასრულა ერთ მილზე რბენა: ალჟირელი ნურედინ მორსელის მიერ იტალიურ რიეტში ექვსი წლის წინ დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს 1,26 წამი ჩამოაკლო.

**3.43,13** წუთი — ასეთია მსოფლიოს ახალი რეკორდი.

REUTERS ფოტო




ჰიშამ ელ გურუჯი ტაბლოს სიამაყით გასცქერის

# სპორტინგი ნემსაძის მსურველი



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „რეჯანას" ნახევარმცველმა გიორგი ნემსაძემ კარიერა შესაძლოა პორტუგალიურ „სპორტინგში" განაგრძოს.

ლისაბონური კლუბის ხელმძღვანელობა ჩვენებური ფეხბურთელით ბოლო ხანს სერიოზულად დაინტერესდა. რამდენიმე დღის წინ კი ისინი გიას მენეჯერს თავად დაუკავშირდნენ და ტრანსფერის მოგვარება სთხოვეს — რამდენიმე თვეა, თვალი დავადგით ნემსაძეს, მისი გადმობირება გვსურს და ვფიქრობთ, ახლა კარგი დროა ამისთვისო, უთქვამთ პორტუგალიელებს მენეჯერისთვის.

თავად გიამ კი, რომელიც ამჟამად თბილისშია, გვითხრა, რომ გადაწყვეტილი არაფერია. „სპორტინგის" გარდა კიდევ რამდენიმე სახელოვან გუნდს გასჩენია მისი შეძენის სურვილი. გამორიცხული არც ისაა, ნემსაძე კვლავაც „რეჯანაში" დარჩეს. ბევრი რამაა დამოკიდებული იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებაზე, რომელსაც „რეჯანას" საქმის განხილვა ჯერაც არ დაუსრულებია. არის შანსი, გუნდმა მომავალი სეზონი კვლავაც სერია B-ში დაიწყოს. „რეჯანამ" ფედერაციაში პროტესტი შეიტანა, აქაოდა, ადრე ქულები უსამართლოდ დაგვაკელითო. ამ ქულების მიმატების შემთხვევაში გუნდი ლიგაში დარჩება, ნემსაძეც ალბათ — „რეჯანაში".

რაც შეეხება გიას მსურველ „სპორტინგს", იგი პორტუგალიაში ერთობ ავტორიტეტული კლუბია, იქაურ გრანდთა შორისაა და გასული სეზონი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა.

კობა ინასარიძე

# ქორქია და ხერხაძე შევარდნაძემ დააჯილდოვა

საქართველოს ვიცე-ჩემპიონ და თასის მფლობელ ქუთაისის „ტორპედოს" თავკაცებს წარმატებული სეზონი და წარსული დამსახურება დაუფასდათ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში სპორტის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სპორტული და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში მიხეილ ქორქია და წინა სეზონში „ტორპედოს" მწვრთნელი, წარსულში კი ამავე გუნდის ამაგდარი მოთამაშე ჯემალ ხერხაძე.

# დინამოომ მოყვარულები მოიძულა

გუშინ ჰოლანდიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" პირველი ამხანაგური მატჩი გამართა სამოყვარულო გუნდ „ჰოვარდემთან" და 10:0 გაიმარჯვა.

პირველი ტაიმი, რომელშიც „დინამოს" თავკაცი იოჰან ბოსკამპი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებას ფიქრობდა, ქართველებმა 6:0 მოიგეს. მეორე ტაიმში კი თითქმის მთლიანად გადახალისებული შემადგენლობა ბურთის კოლექტიურ ართმევაში „მეცადინეობდა" და სუსტი მეტოქე, რასაკვირველია, ამაშიც დაჩაგრა.

დინამოელთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *ლომაია, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ს. გოგიაძე, კიკნაძე, სიჭინავა, ვ. გოგიაძე, გ. შენგელია, ხომერიკი*

მეორე ტაიმში დანარჩენ დინამოელებსაც მიეცათ თავის გამოჩენის შანსი. 4 გოლი გიორგი შენგელიამ გაიტანა, ორ-ორიც ხომერიკმა, ალექსიძემ და აშვეთიამ.

ბოსკამპი კმაყოფილი დარჩა, რისი დანახვაც მსურდა, მოვახერხეო.

„დინამო" დღეს ეპედან ამსტერდამს გაემგზავრება, სადაც სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად „აიაქსის" „ამსტერდამარენასაც" მოინახულებს.

ხვალ საქართველოს ჩემპიონი ერთხელ ივარჯიშებს ზეგ კი ბუქარესტის „რაპიდს" შეხვდება.

ამ მატჩში, შესაძლოა, ითამაშოს აკაკი დევაძემაც, რომელსაც თბილისში გერმანიის საკონსულომ გუშინ მისცა ჰოლანდიაში შესასვლელი ვიზა და ეპეში ხვალ უნდა ჩავიდეს.

გუშინდელ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ იმ უცხოელებს, რომელთა გასინჯვასაც ბოსკამპი აპირებს. სამი განელი, მათ შორის ერთი მეკარე და ერთიც ბრაზილიელი, „დინამოსთან" ერთად პირველად დღეს ივარჯიშებენო — ტელეფონით საუბრისას გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ბოკერიამ.

კობა ინასარიძე

# სად?! ალბანეთში?!

## დაქცეულიდან დაქცეულში გაქცეული

ამასაც მოვესწარით. მოდი და, ნუ გაგიკვირდებათ. თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, მურთაზ ხურცილავას მოწონებული და იოჰან ბოსკამპის დაწუნებული ლევან მიქაძე თამაშს სავარაუდოდ ალბანეთში გააგრძელებს. მას ბალბის „ბილიში" მაკედონიაში ელის. არწივეთის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თურმე უეფას თასზე მონაწილეობისთვის სწორედ იქ ემზადება.

როგორც ჩვენმა ალბანელმა კოლეგა მიქელე იანკუმ გვაცნობა, „ბილიში" იქაურ კლუბთაგან ყველაზე შეძლებული ყოფილა და ფეხბურთელებსაც სხვებზე მაღალი ხელფასი ჰქონიათ. მართალია, მან თანხაც დაგვისახელა, მაგრამ ამას შეგნებულად არ გავამხელთ, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ზღვაში წვეთია და იმიტომ.

იანკუმვე გვითხრა, რომ „ბილიშს" ორი სეზონი ალბანეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გაუტარებია და უძლიერესთა მარაქაში შარშან გარეულა. მათ აქაური პირობებისთვის ფული კი აქვთ, მაგრამ კარგი თამაშით ვერ დაიკვეხნიანო.

ერთი სიტყვით, კაცია და გუნება. მიქაძე, ალბათ, ალბანეთში ითამაშებს.

კობა ინასარიძე

# მერანი ოთხეულისთვის ბრძოლას აპირებს

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისის „მერანი" 26 ივნისს შეუდგა. ტრანსპორტელებს ვარჯიშის დაწყება რამდენიმე დღით ადრე ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ კლუბის ფეხბურთელის ჯუბა ჩუხუას ტრაგიკულმა სიკვდილმა გეგმები შეცვალა. მაშინ ფეხბურთელებმა „მერანის" ხელმძღვანელებს სთხოვეს, ჩუხუას დაკრძალვამდე ნუ ვივარჯიშებთო. პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ და მთავარმა მწვრთნელმა, სერგო გაბელაიამაც გაუგეს ფეხბურთელებს, ვარჯიში გადადეს.

26 ივნისს „მერანი" კვლავ შეიკრიბა. ამჟამად ტრანსპორტელები თბილისში არიან და აქ ვარჯიშობენ. არ არის გამორიცხული, ივლისის შუა რიცხვებში გუნდმა ლაგოდეხში მოაწყოს შეკრება, თუმცა ეს ძირითადად „მერანის" ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელიც ჯერჯერობით ამის საშუალებას არ იძლევა. გუნდში არსებულ ფინანსურ კრიზისზე ადრეც გვითქვამს, თუმცა როგორც გუშინ ბატონმა ნუგზარ ნავაძემ გვითხრა, ფეხბურთელთა ვალი მთლიანად გასტუმრებულია.

ახლა „მერანში" დაახლოებით 40 ფეხბურთელი ვარჯიშობს. მათ შორის მრავლად არიან ახალწვეულნი, ვინ დარჩება მათგან „მერანში" ჯერ კიდევ გაურკვეველია. ისე, შეიძლება ითქვას გუნდმა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება მოახერხა. შარშანდელი შემადგენლობიდან კლუბი სულ ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა. გელა ქორიძემ კარიერის „ბათუმში" გაგრძელება ისურვა და ამჟამად იქ კარნევალეს ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. „თბილისში" (ყოფილ „დინამო 2"-ში) დაბრუნდნენ გიორგი ლომაია, ლევან ბაჯელიძე და მიხეილ ხუციშვილი, რომლებიც „მერანს" ამ კლუბიდან ჰყავდა ნათხოვარი.

სერგო გაბელაიას წინ მართლაც დიდი შრომა ელის, რადგან ამ ორმოცი ფეხბურთელიდან მხოლოდ ოცი უნდა დატოვოს გუნდში, თანაც ისეთები, პირველ ეტაპზე „ბ" ზონის ოთხ საუკეთესოს შორის რომ მოხვდება. სწორედ ეს არის შემოდგომაზე „მერანის" უმთავრესი მიზანი.

ვანო ოქროპირიძე

რეორგანიზაციასთან დაკავშირებით
შ.პ.ს. „ფილოველი-444" განიცდის ლიკვიდაციას.
დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით
შემდეგ მისამართზე: კრილოვის ქ. № 15
შ.პ.ს. „ფილოველი-444"-ის დირექცია

# ვეტერინართა სპონსორი ესპანეთიდან

„მალიორკა", „ვალიადოლიდი", „მალაგა", „ესტრემადურა" — ესპანეთში, „ტორინო" — იტალიაში, „მუსკრონი" — ბელგიაში...

კი მაგრამ, რა აქვთ ამ სახელოვან და უსახელო კლუბებს საერთო? რა და მათ ალკაზმულობაზე ცნობილი ესპანური სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა „კელმე" ზრუნავს.

რა კავშირი აქვთ „კელმესა" და ზემოჩამოთვლილ კლუბებს ქართულ ფეხბურთთან? ახლავე მოგახსენებთ — „კელმე" საქართველოს პირველლიგელ „ვიტ ჯორჯიასაც" შემოსავს. არ არის გამორიცხული, ეს პატივი თბილისურ თსუ-საც ერგოს.

ახლა ყველაფერი დავაკონკრეტოთ. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე სამ ცნობილ ფირმასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. იტალიური „დიადორა", დანიური „ჰუმელი" და ესპანური „კელმე", აი, ის ფირმები, რომლებთანაც ცდილობდა კონტაქტის დამყარებას ვეტერინართა თავკაცი.

შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. „კელმეს" წარმომადგენლები ქართული კლუბით დაინტერესდნენ. 1-4 აგვისტოს ორივე მხარის ხელმძღვანელები მიუნხენში მიუსხდებიან მოსალაპარაკებლად მაგიდას, ალბათ იქვე გაფორმდება სამწლიანი ხელშეკრულება „ვიტ ჯორჯიასა" და „კელმეს" შორის. პირველი აგვისტოდან ვეტერინარებს ტექნიკური სპონსორი ეყოლებათ.

ბუნებრივად დაისმის კითხვა — რითი დავაინტერესეთ ესპანელები? — „კელმეს" ჰყავს დისტრიბუტორი რუსეთში, ბელარუსში, მოლდოვაში, სხვა ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებშიც. არაფერს ვამბობთ წარმომადგენლობაზე ევროპაში, ამერიკაში, აფრიკაში.

„კელმეს" სურს, კავკასიაშიც მოიკიდოს ფეხი და არც აზიის დაპყრობაზე ამბობს უარს. ასეთი მუხლი დევს თურმე ფირმის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც. არც ისე ძნელი ყოფილა სერიოზული სპონსორის გამონახვა. მონდომებაა საჭირო, თანაც უნდა იცოდე, სად ეძებო. გურამ რუხაძეს სცოდნია და საქმეც გაუჩარხავს.

ახალ სეზონში „ვიტ ჯორჯიას" საკუთარ ემბლემიანი, ლურჯი და თეთრ-ცისფერი „კელმეს" ფირმის ფორმა ექნება. სპონსორი სხვა სიკეთესაც ჰპირდება ვეტერინარებს.

არც ისაა გამორიცხული, „ვიტ ჯორჯია" „კელმეს" ოფიციალური დისტრიბუტორი გახდეს კავკასიაში. მიუნხენურ შეხვედრაზე შეიძლება ამ საკითხზეც იმსჯელონ.

ასე რომ, „ვიტ ჯორჯიას" სულაც არ ხუმრობს და თავის მიზან-ამბიციებს დღითი დღე ხორცს ასხამს.

მამუკა კვანტალიანი



ნუგზარ ქოთოლაშვილის ფოტო

ალექსანდრე ბურნაძე

# ბურნაძემ ტოლი ნახა

## სამგურალის ლიბერომ თურქეთს მიაშურა

გასული საიუბილეო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ალექსანდრე ბურნაძე კარიერას უცხოეთში გააგრძელებს. ბურნაძით თურქეთის უმაღლეს დივიზიონში წლეულს დაბრუნებული „ვანსფორი" დაინტერესებულა. ექსსამგურალელი უკვე ოთხი დღეა, ახალ კლუბთან ერთად ვარჯიშობს და სავარაუდოდ, ორიოდ დღეში კონტრაქტსაც გააფორმებს.

X ჩემპიონატი ბურნაძემ „გორდას" რიგებში დაიწყო. თუმცა პირველი წრის გასრულების შემდეგ ფინანსურად შეჭირვებული კლუბი მიატოვა და ჩემპიონატი „სამგურალში" ჩაამთავრა და ამ გუნდს თასის ფინალში გასვლაში ერთობ დაეხმარა.

და ერთი უმნიშვნელო დეტალიც. „ვანსფორი" 1974 წელს არის დაარსებული, სწორედ იმ წელს, როდესაც ბურნაძე დაიბადა. ჰოდა, რა გამოდის — ტოლი ნახე და ბურთი გააგორეო.

პაატა კვანტალიანი

# ...და დემეს გააქვს

**რომელ კლუბში ითამაშებს გიორგი დემეტრაძე? „ოსერში", კიევის „დინამოში" თუ ლონდონის „არსენალში"? ამ ბოლო დროს რუსეთში ძალიან ბევრს საუბრობენ დემეტრაძის მოსალოდნელ ტრანსფერზე, რომელიც, სპეციალისტთა ვარაუდით, ყველაზე ძვირად ღირებული იქნება რუსეთის ჩემპიონატში. ამ ტრანსფერის მოლოდინში მყოფი იქაური მასმედიაც, დღე არ გავა, ვლადიკავკაზის „ალანიის" ქართველ ლეგიონერს ამა თუ იმ მიზეზით ხოტბა არ შეასხას. განსაკუთრებით ყველაზე პოპულარული სპორტული გამოცემა „სპორტ-ექსპრესი" აქტიურობს. ამაზე „სარბიელის" მკითხველმაც კარგად იცის. გუშინ „სპორტ-ექსპრესმა" დემეტრაძესთან პატარა ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომლის მთავარი თემაც ამჯერად ჩვენებურის მომავალი არ ყოფილა.**

გიორგი დემეტრაძეს რუსეთის ყველა დროის რეკორდის გამეორებამდე ერთი ზუსტად შესრულებული პენალტი აკლია. 22 წლის ფეხბურთელმა რუსეთის ჩემპიონატში (შარშანდელის ჩათვლით) ათი პენალტი დაარტყა და ყველა გამოიყენა. წლეულს დემეტრაძემ შვიდი თერთმეტმეტრიანი გაიტანა (აქედან ხუთი მისი წაქცევისთვის დაინიშნა), რაც სეზონის რეკორდია. ახლა მას მხოლოდ იგორ მაკაროვი უსწრებს. მან 1992-1995 წლების ჩემპიონატებში ზედიზედ 11 პენალტი გაიტანა, ოღონდ ამ შედეგს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშისას მიაღწია. პენალტების ნაწილი მოსკოვის „ასმარალის" შემადგენლობაში ყოფნისას გაიტანა, ნაწილიც — „ჟემჩუჟინაში".

დემეტრაძეს პენალტის დარტყმის მართლაც განსაკუთრებული ნიჭი აქვს. იგი ძველი თაობის გულშემატკივრებს რევაზ ჩელებაძის თერთმეტმეტრიანებსაც კი ახსენებს. დემეტრაძის დარტყმის შემდეგ, როგორც წესი, მეკარე ერთ მხარეს ხტება, ბურთი კი საპირისპირო კუთხეში მიგორავს. მე-14 ტურში მოსკოვის „დინამოს" მეკარე კრამარენკომ ბურთის მიმართულება კი გამოიცნო, მაგრამ დემეტრაძის ნელა დარტყმულს მაინც ვერ მისწვდა, ბურთი მახვილ კუთხეში შეგორდა.

ახლა იმ ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც დემეტრაძეს „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტმა, სერგეი კაპუსტინმა ჩამოართვა.

**— თქვენი შესრულებული თერთმეტმეტრიანებიდან მეკარეებს ერთის აღების შანსი თუ მაინც ჰქონიათ?**

— მეკარეს პენალტის აღების შანსი ყოველთვის აქვს, მაგრამ მისი შესრულების სამი ძირითადი პირობა თუ დავიცავი, გოლკიპერს ბურთის მოსაგერიებლად ერთი პროცენტი რჩება ჩემი 99-ის წინააღმდეგ.

**— კი მაგრამ, რა პირობებია ასეთი?**

— ცივსისხლიანობა, ანუ დარტყმისას არ უნდა ვღელავდე, რწმენა უნდა მქონდეს იმისა, რომ გავიტან და უნდა შევძლო მეკარის მოტყუება.

**— როგორც ვიცით, ვლადიკავკაზის „ალანიაში" თბილისის „დინამოდან" უკვე შტატიან პენალტისტად მიხვედით.**

— თერთმეტმეტრიანების რეგულარულად შესრულება თბილისის „დინამოს" ჭაბუკთა გუნდიდან დავიწყე. როცა მინდორზე ვიყავი და მოწინააღმდეგის კარში პენალტი ინიშნებოდა, ყოველთვის მე მივდიოდი მის შესასრულებლად. ხანდახან ვაფუჭებდი კიდეც, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა.



რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გიორგი დემეტრაძე

**— „ალანიაში" ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში დაარტყით პენალტი. გუნდში მისვლისთანავე ასეთი ნდობა როგორ დაიმსახურეთ?**

— ჩემი დებიუტი „ალანიაში" გასული წლის 15 ივლისს შედგა ელისტაში „ურალანთან". წინა მატჩში „როსტსელმაშის" წინააღმდეგ ვერგატანილი პენალტის გამო დამაკისრეს მისი შესრულება. მეც არ ვუმტყუნე.

**— პენალტის უმეტესობას თავადვე იმსახურებთ რაიმე განსაკუთრებული საიდუმლო გაქვთ?**

— არანაირი საიდუმლოება არ არსებობს. ჩემს წინააღმდეგ თამაშისას მცველები ხშირად არღვევენ წესებს — მგონი, იმიტომ, რომ სხვა გზა აღარა აქვთ. ამ დროს ხომ მათ კარს საფრთხე ემუქრება აი, მსაჯები რომ ჯარიმებს ყოველთვის ხედავდნე უკეთესი იქნებოდა.

**— ვარჯიშებზე მის შესრულებას და დახვეწას ბევრ დროს უთმობთ?**

— ვარჯიშისას ამის დრო არ გვაქვს, მის შემდეგ კი ხან ხაპოვს ვტოვებ, ხან გრიშიკაშვილს და ბევრსაც ვურტყამ კარში. თანაც ისინი ძალიან მეხმარებიან, შეიძლება ითქვას, თეორიულ მეცადინეობასაც მიტარებენ. კერძოდ, მიხსნიან მეკარის ფსიქოლოგიას და სხვა საიდუმლოებებს, რასაც პრაქტიკაში კარგად ვიყენებ.

**— რუსეთის ჩემპიონატში ვის მიიჩნევთ საუკეთესო მეკარედ?**

— ჩემი აზრით, ოთხი მეკარე აშკარად გამოირჩევა დანარჩენებისაგან — ფილიმონოვი, ნიგმატულინი, ხაპოვი და ბერეზოვსკი.

**— ბომბარდირთა დავაში თქვენ და სპარტაკელი ტიხონოვი ლიდერობთ. ორივეს თერთმეტ-თერთმეტი გოლი გაქვთ. თუმცა თქვენ აქედან შვიდი პენალტით გაიტანეთ. ხომ არ აკნინებს ეს დემეტრაძის მიღწევას?**

— რატომ უნდა დააკნინოს? განა პენალტი გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსია? მისი გამოყენება სულაც არ არის ადვილი. ამის კარგი მაგალითი თავად ტიხონოვია, რომელმაც სულ ახლახან კვლავ ააცილა. თამაშიდან უფრო მეტი გოლის გატანა შემეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ... შედეგად „ალანიამ" ძვირფასი ქულები დაკარგა. ძალიან მინდოდა, პირველი წრე გუნდს პირველ სამეულში ჩაემთავრებინა, მაგრამ ვერ შევძელით. ვეცდებით, დანაკლისი მეორე წრეში ავინაზღაუროთ.

**— კი მაგრამ, თქვენ ხომ მეორე წრეში „ალანიაში" აღარ იქნებით?**

— კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. არც კი ვიცი, წავალ თუ არა საზღვარგარეთ. მთავარია, ახლა „ალანიაში" ვთამაშობ, მის ღირსებას ვიცავ და ამიტომ ჩემი ყველა ფიქრი მას უკავშირდება.

**— თქვენი წასვლის შემთხვევაში „ალანია" მთავარ სნაიპერსა და შტატიან პენალტისტს დაკარგავს...**

— მე რა, ერთადერთი და განუმეორებელი ვარ? „ალანიაში" ბევრია ისეთი ფეხბურთელი, ვინც ძალიან კარგად შეასრულებს იმ ფუნქციას, რაც მე მაკისრია. მაგალითად, იგივე გერმან კუტარბა, რომელიც ჩემზე ნაკლები სულაც არ არის.

**P.S.** გუშინ რუსეთის ჩემპიონატის მე-15 ტური გაიმართა. „ალანიამ" სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" უმასპინძლა და ფრედ 2:2 ითამაშა. ალანიელთაგან ორივე გოლი გიორგი დემეტრაძემ გაიტანა. აქედან ერთი პენალტით და იგორ მაკაროვის რეკორდიც გაიმეორა.

# ახლა სიტყვა მეც მეთქმის

ნაკრების გეომეტრი, გუნდის დირიჟორი, დიდი მომავლის მქონე მოთამაშე ამ სიტყვებით შეამკო ქართველთა მტერ-მოყვარე იტალიელმა მწვრთნელმა რობერტო ლანდიმ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი ბერძნული „არისისგან" „პანეტოლიკოსში" განათხოვრებული გიორგი ყიფიანი. ის ლანდისეულ ნაკრებში შეუცვლელი მოთამაშე იყო, მერე იმნაძის გუნდშიც იოლად დაიმკვიდრა ადგილი. ახალგაზრდულში მურთაზ ხურცილავას მისვლით თაობათა ცვლა დაიწყო. ყიფიანიც არ გამოუძახიათ მას შემდეგ. გიორგიმ საბერძნეთში სეზონი ჩაამთავრა, ახლა მშობლიურ ქალაქში ისვენებს და სამ დღეში უკანვე გაბრუნდება. მანამდე კი „სარბიელის" კითხვებს პასუხობს...



გიორგი ყიფიანი

**— გიორგი, „არისი" ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა, თუმცა შენ სულ სხვა ლიგაში, სხვა გუნდისთვის თამაშობდი...**

— მართალია, „არისთან" სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ თავიდანვე პირველი ლიგის „პანატოლიკოსში" გამანათხოვრეს. კლუბებს შორის გაფორმებული ექვსთვიანი ხელშეკრულება დამთავრდა. ახლა ისევ „არისის" კუთვნილება ვარ.

**— როგორი იყო შენი მონაგარი „პანეტოლიკოსში"?**

— 15 მატჩიდან რვაში მივიღე მონაწილეობა და ერთი გოლი გავიტანე. ის ერთადერთი ბურთიც სასტარტო მატჩში შევაგდე. მწვრთნელმა თავდამსხმელების უკან, გამთამაშებლად გამამწესა და თავიც არ შემირცხვენია. დანარჩენ შეხვედრებში კი განაპირა ნახევარმცველობა მევალებოდა. ხან მარჯვენივ ვთამაშობდი, ხანაც — მარცხნივ. იქ, სადაც გუნდს დასჭირდებოდა.

**— „არისში" შენთვის ჩვეულ, გამთამაშებლის პოზიციაზე ვინ იყო?**

— 30 წლის ბრაზილიელიედინო და სილვა. ჰყავდათ ერთი იუგოსლავიელი სტოიანოვიჩიც, რომელიც რიგ მატჩებში ბრაზილიელს ენაცვლებოდა. „არისში" სულ 6 ლეგიონერი იყო, მეშვიდე მე ვიყავი. თამაშის უფლება, იქაური წესით, 4 ლეგიონერს ჰქონდა ერთდროულად. ამიტომ გამოცდილებისა და ადაპტაციის მისაღებად გამანათხოვრეს.

**— როგორი იქნება „არისში" შენი მომავალი? გუნდი უეფას თასზე იასპარეზებს, ალბათ, უფრო გაძლიერდებიან. ისევ განათხოვრება ხომ არ გელის?**

— ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თბილისისკენ გამოვეშურე, მესამე დღესვე დამირეკეს — აუცილებლად უკანვე ჩამოდიო. გავემგზავრე, სამედიცინო შემოწმება გავიარე, ექიმებმა მითხრეს, გადაღლილი ხარო. კლუბის ხელმძღვანელებმა საუბრისას თბილისში წამოსვლა და დასვენება მირჩიეს. გუნდში ახალი მწვრთნელი მოგვყავსო, თქვეს, „ცრვენა ზვეზდას" ყოფილი მწვრთნელი ვლადიმირ პეტროვიჩი გაწვრთნის „არისსო". საბოლოოდ მაშინ დავილაპარაკებთ. თქმა არ უნდა, ახალ მწვრთნელს ახალი სტილი და განსხვავებული იდეები ჩამოჰყვება, რამდენიმე დღეში მეც წავალ და ვნახოთ, რა იქნება.

ერთი რამ გარკვევით ავუხსენი კლუბის თავკაცებს, რომ მე ჩემი შესაძლებლობები გარკვევით წარმოვაჩინე ამ ექვს თვეში, გამოცდილებაც მივიღე და პირველ ლიგაში თამაშის გაგრძელებას არ ვაპირებ. თუ დავჭირდები, ხომ კარგი, არადა, ჩემით დაინტერესებული სხვა გუნდებიც მოიძებნებიან უმაღლეს ლიგაში. საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ, მეც ახალი მწვრთნელის მოსვლას ველოდები.

**— „არისში" როგორ აღმოჩნდი?**

— საბერძნეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ათენში აეროპორტშივე დამიკავშირდნენ და დარჩენა მთხოვეს. არ მიმიქცევია დიდი ყურადღება, მაგრამ თბილისშიც დამირეკეს, ჩავედი და სამწლიანი კონტრაქტიც გაფორმდა.

**— ბერძნების უმაღლეს ლიგაზე რას გვეტყვი, ძლიერ ჩამოვრჩებით?**

— საბერძნეთი ერთი რამით გვგავს. იქაც დაახლოებით ოთხი-ხუთი გუნდია, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან, დანარჩენები — ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის. პირობების შედარება კი უადგილოდ მეჩვენება.

**— ჩვენებურებიდან თუ გამოირჩა ვინმე ბერძნულ ფეხბურთში?**

— გოდერძი ნატროშვილი, გოდოლა, ხომ გახსოვთ. ჰოდა, მისი „პანახაიკი" უმაღლეს ლიგაში გადავიდა. გოდერძი კი ამ გუნდის სული და გული იყო. მას ძალიან ემადლიერებიან.

ურთიერთობაც მხოლოდ მასთან მქონდა. სხვას ვერავის ვიხსენებ. „ოლიმპიაკოსის" ანდრო კიურჯიევი, იმათებურად ნინიადისი რომ ძლიერი ფეხბურთელია, ამას თქმა არ უნდა, ოღონდ მე მასთან ახლოს არ ვყოფილვარ, აი, ნატროშვილი კი ხშირად მეხმიანებოდა.

**— ერთი სიტყვით, გიხილავთ თუ არა უეფას თასზე მოთამაშეს?**

— ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული თუმცა დაბალ ლიგაში რომ აღარ ვითამაშებ, ეს ნაღდია.

**მამუკა ძვანტალიანი**

# სანამ ბურთი მრგვალია...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠ თსუ-ს ჭირ-ვარამით ვარამით ვერავინ გაგვაკვირვებს. თავის დროზე ლხინიც უნახავს და თან როგორი. მერე იტრიალა ბედის ბორბალმა და თსუ კინაღამ პირველი ჯგუფიდანაც გავარდა.

ახლა აღარ გაუჭირდებათ სტუდენტებს, გუნდი სერიოზული პატრონის ხელშია. ამის შემდეგ არც მოშივდებათ და არც შესცივდებათ — გარანტი ტრანსკავკასიური ვეტერინარული კომპანა და მისი თავკაცი დავით გოდერძიშვილი გახლავთ.

თსუ ფაქტობრივად ახალი გუნდია — ახალი პრეზიდენტი, ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები. მოკლედ, სულ ყველაფერი ახალია.

უკვე გადაწყვეტილ-დამტკიცებული ამბავია, შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტელსპორტი", რომელიც კლუბის აქციათა მფლობელია. აქედან 70 პროცენტი, ანუ საკონტროლო პაკეტი ტრანსკავკასიური ვეტერინარული კორპორაციის განკარგულებაშია, ხოლო 30 პროცენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აკონტროლებს.

გადასაწყვეტი მხოლოდ კლუბის პრეზიდენტის საკითხი იყო და ესეც გადაწყდა — თავკაცობის მისია დავით გოდერძიშვილს დაეკისრა.

შეიძლება ითქვას, დებიუტანტის კვალობაზე ბატონი დავითი ჩინებულად ერკვევა საფეხბურთო საქმეებში, გუნდის ვარჯიშებს არ აცდენს და, ეტყობა, ძალიანაც დაინტერესდა.

— ჩვენ ახალგაზრდულ გუნდს ვაყალიბებთ. ახლა ვიწყებთ და, რა თქმა უნდა, პრობლემებიც არ მოგვაკლდება, მაგრამ სიძნელეების არ გვეშინია. მომავალს ოპტიმისტურად შევცქერით და მეთერთმეტე ჩემპიონატშიც, რა თქმა უნდა შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შეიძლება მაღალ ადგილზე გასვლას ვგეგმავთ.

**— ახალგაზრდულ გუნდს პირველ ჯგუფში ადაპტაცია და ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება?**

— ჩემი გუნდი ახალგაზრდულთან ერთად ათლეტური, მსუბუქი და სწრაფი უნდა იყოს. მერწმუნეთ, საქართველოში ტალანტები არ დაილევა, სანამ ბურთი მრგვალია და მას ქართველი ბავშვები აგორავებენ, ნიჭიერი თაობა არ მოგვაკლდება. ოღონდ ეგ არის, მოძებნა და აღმოჩენა უნდა. მერე სწორ გზას რომ დაადგება, შედეგიც აუცილებლად მოვა.

მართალია, ადაპტაციაც გაგვიჭირდება, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" და გურამ რუხაძე გაგვიზიარებენ გამოცდილებას. მე და ბატონი გურამი პარტნიორები ვართ ბიზნესშიც და ფეხბურთშიც.

**— ყველაფერი ეს დროს მოითხოვს...**

— ჰოდა, ჩვენც არსად გვეჩქარება. პირველ წელსვე სასწაულს არ ვითხოვ. ითამაშებენ ბიჭები, გამოცდილებას მიიღებენ, დავაკაცდებიან და მერე გაცილებით მაღალ მიზნებზე ვიფიქრებთ.

**— გაუძლებთ ამდენს? გუნიდს შენახვა ხუმრობა საქმე არ გახლავთ. ბევრს დაუწყია და მერე სანანებლად გახდომია საქმე.**

— ვამბობ და ასე იქნება — თსუ-ს სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პრობლემები არ ექნება. სხვა სიკეთეზეც შეიძლება საუბარი, მაგრამ ჯერ საქმე გავაკეთოთ და მერე ვილაპარაკოთ. აგერ ჩვენ და გუნდი, აგერ მომავალი. დრო ყველაფერს გამოაჩენს. ვიმეორებ, ჩვენ სერიოზული მიზნები და პრინციპები გვამოძრავებს.

სანამ კლუბის ხელმძღვანელები სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებენ, მწვრთნელებს ერთი დიდი თავსატეხი გასჩენიათ — სავარჯიშოდ ფაქტობრივად 40 ფეხბურთელი დადის, გუნდში კი 20 მოთამაშე უნდა დარჩეს.

მთავარი მწვრთნელი კოტე დოლიძე, თანაშემწეები — ზაზა ძიდებაშვილი და [illegible] ხუციშვილი [illegible] სინჯავს და [illegible] ტოვებენ [illegible] შრომა, [illegible]

როგორრია, ახალგზარდა კაცს უთხრა, შენ გულმოდგინედ კი ვარჯიშობ, მაგრამ გუნდისთვის არ გამოგვადგებიო. უჭირთ მწვრთნელებს, ბოდიშის მოხდით ილებენ და ითხოვენ მოთამაშეებს, იცხრილება გუნდი, მაგრამ მეორე დღეს რაოდენობა მაინც უცვლელია. წასულდათხოვილის ადგილზე ახალი მოთამაშე მოდის. არა, საქართველოში ფეხბურთი არ შეიძლება მოკვდეს, რადგან ამოუწურავი რეზერვია.

ბევრი უცნობი გვარ-სახელია ახლა თსუ-ში, მწვრთნელებს მათი დამახსოვრებაც უჭირთ, ადგილი კი მხოლოდ ოცია.

ვის არ ნახავთ აქ, საქართველოს ყველა კუთხიდან შეყრილან ფეხბურთელები, თითოეული თავის სიძლიერის დამტკიცებას ლამობს. უყურებს კლუბის პრეზიდენტი ბიჭების გარჯას და ხელებს შლის — არჩევანის გაკეთება ნამდვილად გაგვიჭირდება, უკვე აღარ ვიცით, ვინ გავუშვათ და ვინ დავიტოვოთ. თან იმედიანადაა, არა, ნამდვილად კარგი გუნდი შეიკრიბებაო.

მანამდე კი თსუ დღეში ორჯერ ვარჯიშობს. დილით ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე ფიზმომზადების სპეციალისტი წვრთნის გუნდს, საღამოს კი „დინამოს" საფეხბურთო სკოლის სტადიონზე ვარჯიშობენ ბურთით.

მალე იმ ოცი ფეხბურთელის ვინაობაც დადგინდება და თსუ შეკრებაზე წავა. სტუდენტებს 11 ივლისიდან ცემში ელიან. ორი კვირის შემდეგ დაბრუნდება კოტე დოლიძე ფეხბურთელებიანად თბილისში და მზადებაც დედაქალაქში დასრულდება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დანარჩენიც თსუელებმა უნდა დაამტკიცონ. ერთი რამ კი ნათელია, ტრაგიკული წარსული ისტორიას ჩაბარდა. უსახსრობას და უვარჯიშებლობას ბოლო მოეღო, წინ ნათელი მომავალია.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**



თსუ-ს პრეზიდენტი დავით გოდერძიშვილი

ზურაბ ჯაფარიძის ფოტოები



თსუ-ს მთავარი მწვრთნელი კოტე დოლიძე



არჩევანი დიდია — ორმოციდან ოცი უნდა დარჩეს



თსუ-ს ახალი მწვრთნელი და ფეხბურთელები საქმეში



ვარჯიშამდე ჯერაც დროა



REUTERS ფოტოები

ბრაზილია — ჩილე 1:0. უკვირს ჩილელ ვილიაროელს — ნისლი სტადიონზე

39a. Copa América Paraguay '99

# შეწყვეტილი თამაში

**B ჯგუფი**

**ბრაზილია 1:0 ჩილე**

1:0 რონალდო (36პ)
74-ე წუთზე გონსალესმა (ჩილე) ვერ გაიტანა პენალტი
ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ოდვანი, ჟოაო კარლოსი, რობერტო კარლოსი, ვამპეტა (ბეტო 17), ფლავიო კონსეისაო, ალექსი (კრისტიანი 73), ზე რობერტო, ამოროზო (რონალდინიო 46), რონალდო
ჩილე: მარსელო რამირესი, ვილიაროელი, კონტრერასი, მიგელ რამირესი, მარგასი, როხასი, პარაგესი (ნუნიესი 46), კარტესი, სიერა, სამორანო (პალასიოსი 46), გონსალესი
გაფრთხილება: მარსელო რამირესი (13), სამორანო (33), კონტრერასი (33), ევანილსონი (55), სიერა (71), კრისტიანი (76)
მსაჯი: ორასიო ელისონდო (არგენტინა)

85-ე წუთზე თამაში შეწყდა — მინდორზე ისეთი ნისლი ჩამოწვა, არაფერი ჩანდა და არგენტინელმა მსაჯმაც შეხვედრა შეაჩერა. მისი გადაწყვეტილებით, მეტოქეებმა ათიოდ წუთი მოიცადეს, მაგრამ ვინაიდან ნისლი არ გაიფანტა, მატჩი 85-ე წუთზე დასრულდა. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია, კონმებოლი, დღეს ამ ფაქტზე იმსჯელებს — შეხვედრის საბოლოო ანგარიშად ან ეს შედეგი ჩაითვლება, ანაც გუნდები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და დარჩენილ ხუთ წუთს ითამაშებენ.

ორივე ნაკრები, ბრაზილიაც და ჩილეც, მეოთხედფინალში ყველა შემთხვევაში გასულია — ბრაზილიელებს ყველა შეხვედრა მოგებული აქვთ, ჩილელებს კი, მიუხედავად იმისა, რომ სამიდან ორ თამაშში დამარცხდნენ, მაინც უსწრებენ პირველ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ ბოლივიას.

74-ე წუთზე პედრო გონსალესს პენალტი რომ გაეტანა, ჩილე ეგებ არც დამარცხებულიყო, მაგრამ მას ბრაზილიელთა მეკარემ აჯობა და შესაბამისად, ვერც რონალდოს გოლი გაიქვითა.

36-ე წუთზე ჩილელი მცველი მიგელ რამირესი ზე რობერტოს იმდენად ეუხეშა, რომ მსაჯს ბევრი არც უფიქრია, უმალ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. რონალდო, ბრაზილიური ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, გამოექანა და გოლიც გაიტანა. სხვათა შორის, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის მერვედფინალში, როცა ბრაზილიამ ჩილე 4:1 დაამარცხა, რონალდომ მეტოქეს ერთი ბურთი მაშინაც პენალტიდან შეუდგო.

— კიდევ ერთხელ ვამბობ — ბრაზილია „კოპა ამერიკის" უპირველეს ფავორიტად მესახება. ტურნირში მონაწილე ყველა გუნდის თამაში ვნახე და სერიოზულ მეტოქედ ვერც ერთი მათგანი ვერ აღვიქვი. ჩვენ შეგვწევს ძალა, დავიცვათ ტიტული — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ბრაზილიამ მეტოქე მხოლოდ 1:0 დაამარცხა, მისი უპირატესობა საგრძნობი იყო — სამხრეთამერიკელები მექსიკას ერთი თავით სჯობდნენ და უფრო დიდი უპირატესობით რომ ვერ მოიგეს, მხოლოდ და მხოლოდ ჩილელთა მეკარის, მარსელო რამირესის ბრალია. მან რამდენჯერმე შესანიშნავად ითამაშა, რონალდოს კი ერთხელ სასწაულად აუღო ბურთი.

— მეტოქის მეკარე შეუდარებელი იყო. რომ არა იგი, ჩვენ უფრო მეტ ბურთს გავიტანდით. ეს იმავე ლუქსემბურგოს სიტყვებია.

ახლა რაც შეეხება მეოთხედფინალებს — თუ ბრაზილია — ჩილეს ანგარიში არ გაუქმდა, მაშინ ვანდერლეი ლუქსემბურგოს გუნდი 11 ივლისს, ესტეში, მესამე ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ გუნდს დაუპირისპირდება.

**მექსიკა 3:1 ვენესუელა**

1:0 ბლანკო (21), 2:0 ოსორნო (29), 3:0 ბლანკო (39), 3:1 ურდანეტა (72)
მექსიკა: რიოსი, ალმაგერი (სუარესი 46), სანჩესი, კარმონა, ჩავესი (ტერასასი 68), ლარა, ტორადო (კაბრერა 46), გარსია, პალენსია, ბლანკო, ოსორნო
ვენესუელა: სანაუსი, ხიმენესი, მეა ვიტალი, რეი, ეშენაუსი, დუნო (არანგო 57), ვერა, ბიდოლიო, ურდანეტა, ნორიეგა (კარერესი 63), მორანი (გარსია 77)
გაფრთხილება: ტორადო (3), ალმაგერი (14), რიოსი (66), ოსორნო (87)
გაძევება: ბლანკო (83)
მსაჯი: ბონიფასიო ნუნიესი (პარაგვაი)

სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ვენესუელა უსუსტესი საფეხბურთო ქვეყანა რომაა, ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. გუნდმა ისე დაამთავრა თამაში მორიგ „კოპა ამერიკაზე", 13 ბურთი გაუშვა და ერთადერთი გოლი გაიტანა, ისიც ბოლო მატჩში. სხვათა შორის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან ვენესუელა ერთადერთია, სადაც ფეხბურთი სპორტის პირველი სახეობა არაა.

ის, რომ მექსიკა გაიმარჯვებდა, ძნელი გამოსაცნობი სულაც არ იყო, მაგრამ თუ მხოლოდ ორბურთიან უპირატესობას მიაღწევდა, არავის ეგონა. მართალია, მექსიკელებმა პირველი ტაიმი დიდი უპირატესობით მოიგეს, მაგრამ მაყურებელი მათგან შესვენების შემდეგაც იმავეს ელოდა, საწინააღმდეგო კი მოხდა.

მექსიკელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი კვატემოკ ბლანკო გახლდათ, რომელიც, გარდა იმისა, რომ ორი გოლის ავტორი გახდა, მოედნიდან მიაბრძანეს — მეტოქეს იდაყვი სახეში უთავაზა. ახლა იგი შემდეგ შეხვედრას, მეოთხედფინალს გამოტოვებს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| მექსიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:1 | 3 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ამოროზო (ბრაზილია) | 3 |
| რონალდო (ბრაზილია) | 3 |
| სანტა კრუსი (პარაგვაი) | 3 |



REUTERS ფოტოები

მექსიკა — ვენესუელა 3:1. კვატემოკ ბლანკოს საფირმო ფინტი

*კიდევ ოთხ თვეს გაგრძელდება დაძაბულობა.*

*2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი, ნაცვლად მომავალი წლის მარტისა, 2000 წლის ივლისში გაირკვევა. ფიფამ არჩევნები ოთხი თვით გადაავადა.*

*რამდენიმე დღის წინ კონკაკაფის (ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა, კარიბეთი) გენერალურმა მდივანმა ჩაკ ბლეიზერმა განაცხადა, იმ დროისთვის, როცა ფიფამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი უნდა დაადგინოს, კონფედერაციებიდან მხოლოდ ჩვენ მივასწრებთ არჩევნების ჩატარებას, ამიტომ სასურველია, მასპინძელი მარტის ნაცვლად ივლისში გავარკვიოთო. ფიფას ხელმძღვანელებს ბლეიზერის რჩევა ჭკუაში დაუჯდათ და არჩევნებიც ამიტომ გადაიდო.*

*ჩვენ კი გთავაზობთ ინგლისურ გაზეთ „სანდი თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც სწორედ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად გერმანიასა და ინგლისს შორის ატეხილ დავიდარაბას ეხება.*

# სანამ კენჭი იყრებოდეს

ამ კვირაში, ალბათ, დაიწყება ის, რამაც გაისად ინგლისს უდიდესი საფეხბურთო გამარჯვების 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად ძალიან დიდი სიხარული უნდა არგუნოს. ქვეყნის პრეტენზიას 2006 წლის პირველობის მასპინძლობაზე აძლიერებს ისიც, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზებს.

ინგლისელთა კამპანიის ხელმძღვანელი ალეკ მაკგივენი რამდენიმე დღის წინ ამერიკას, კერძოდ კი ლოს ანჯელესს გაფრინდა. ოკეანისგაღმა სერ ბობი ჩარლტონი და სერ ჯეფრი ჰერსტიც გაეშურნენ: სამეული ფიფას აღმასკომის 24 წევრს შეხვდება, სწორედ იმ ხალხს, რომლებიც გაისად 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ხუთი კანდიდატიდან — ინგლისიდან, გერმანიიდან, ბრაზილიიდან, სამხრეთ აფრიკიდან და მაროკოდან ერთს, ყველაზე ღირსეულს ამოარჩევენ.

მაკგივენი და მისი გუნდი, ალბათ, არაფერს დაიშურებს, რათა აღმასკომის წევრთა მხარდაჭერა მოიპოვოს. ცხადია, ამისათვის სხვა კანდიდატი ქვეყნების წარმომადგენლებიც ყველაფერს ილონებენ, მაგრამ ბოლო სიტყვა ხომ აღმასკომზეა.

მაკგივენის აზრით, ინგლისელებს ერთი უპირატესობა აქვთ — ფიფას აღმასკომის რამდენიმე წევრი ერთობ გაუხარებია „მანჩესტერ იუნაიტედის" გადაწყვეტილებას, ითამაშოს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში.

— წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ, ინგლისელები, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები ვიქნებით. ოპოზიციაც ძლიერი გვყავს — განაცხადა მაკგივენმა — მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩვენს სასარგებლოდ ბევრი რამ ამოქმედდება. კონკრეტულად რა, არ გავამხელ, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ ბევრი უკვე ჩვენსკენ იხრება.

„მანჩესტერ იუნაიტედის" განცხადებამ, ინგლისის ასოციაციის თასის ნაცვლად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ინგლისელთა კამპანიას მართლაც ბევრი შეემატა. იგივე ალექს მაკგივენი ამბობს: „ვხვდები, რატომაა ხალხი კეთილგანწყობილი მანჩესტერელთა მიმართ. კლუბის საქმისადმი ასეთი მიდგომა იმას მოწმობს, რომ ამათ მხოლოდ თავიანთი ინტერესები არ ამოძრავებთ. გუნდს მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატში ქვეყნის პრესტიჟის დაცვა სურს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

მიუხედავად იმისა, რომ ფიფას აღმასკომის სამი სამხრეთამერიკელი წევრი, ალბათ, მაინც თავის კანდიდატ ბრაზილიას დაუჭერს მხარს, მაკგივენის აზრით, ბრაზილიის სერიოზული კონკურენტად განხილვა არ ღირს — „ეს არაა იმ დონის კანდიდატი, ფიფამ ტურნირის მასპინძლობა დააკისროს. რა თქმა უნდა, შესანიშნავი საფეხბურთო ტრადიციის მქონე ქვეყანაა, მაგრამ მასპინძლის დადგენისას გამარჯვებებთან ერთად ინფრასტრუქტურაც გასათვალისწინებელია, ამ მხრივ კი, ვფიქრობ, ბრაზილია ინგლისს ვერ გაუტოლდება".

ჯერჯერობით ფიფას აღმასკომის მხოლოდ ორმა წევრმა — შოტლანდიელმა დევიდ ვილმა და ახალზელანდიელმა ჩარლ დემპსიმ განაცხადა, რომ ისინი არჩევნებში ინგლისს დაუჭერენ მხარს. მაკგივენის თქმით, ვილის მხარდაჭერა სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედის" კარგად ცნობილმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია. ფიფას აღმასკომის რამდენიმე კანდიდატი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს და როგორც მაკგივენი ამბობს, ფერგიუსონის გუნდს ბრაზილიაში გამგზავრებაზე უარი რომ ეთქვა, შესაძლოა ინგლისს რამდენიმე მხარდამჭერი დაეკარგა კიდეც.

რაც შეეხება, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს, რომელიც ბრაზილიაში, მომავალი წლის დასაწყისში უნდა გაიმართოს, მასში ფიფას ექვსივე კონფედერაციის ჩემპიონი კლუბი ითამაშებს ტურნირის მასპინძელი ქვეყნის ერთ გუნდთან და საკონტინენტთაშორისო თასის მომგებთან ერთად. ჯერჯერობით ოფიციალურად მხოლოდ ხუთი გუნდის მონაწილეობაა დადასტურებული. ესენი არიან: აზიის წარმომადგენელი, საუდეთის „ალ ნასრი", მასპინძელი ბრაზილიის „ვასკუ და გამა", ევროპის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი", სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი „კორინთიანსი" და მადრიდის „რეალი".

ყველაფერი გაისად გაირკვევა — თუ „მანჩესტერ იუნაიტედი" ტურნირში წარმატებით იასპარეზებს, ინგლისის შანსები შეიძლება ძალიან გაიზარდოს, თუ არა და...

**ენდრიუ უორშაუ,**
**სანდი თაიმსი**

# ვერდაბრძენებული

დღევანდელი ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ მოთამაშეს, „ლივერპულის" შავკანიან ნახევარმცველ პოლ ინსს, შესაძლოა ალბიონელთა ყველაზე ტიტულოვანი კლუბი დაატოვებინონ.

ინგლისელი ჟურნალისტების ცნობით, თავად ლივერპულელთა ფრანგ თავკაც ჟერარ ულიეს უთქვამს ინსისთვის, ჩემს სამომავლო გეგმებში ვერ ჯდებიო.

პოლ ინსმა, ფეხბურთელობის გარდა, გამუდმებული სკანდალებითაც გაითქვა სახელი. მან საფეხბურთო კარიერის მანძილზე მრავალ მწვრთნელთან იმუშავა და თითქმის ყველასთან კონფლიქტი მოუვიდა.

მას შემდეგ, რაც ინსმა ფეხბურთის თამაში დაიწყო, წლები გავიდა, იგი უკვე 31 წლის გახდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხასიათი არ შესცვლია. ნახევარმცველის ჟერარ ულიესთან ცუდ დამოკიდებულებაზე ინგლისში უკვე დიდი ხანია, საუბრობენ, თუმცა ეს არავის უკვირს.

უკვე რამდენიმე დღეა, „ლივერპულმა" შვეიცარიაში საწვრთნელი ვარჯიშები დაიწყო, ინსი კი აცდენს. როგორც ჩანს, ულიეს, რომელიც პოლის ახირებული ხასიათით რა ხანია, უკმაყოფილოა, ამ თვითნებობამ მოთმინების ფიალა აუვსო.

— პოლი მართლაც კარგი ფეხბურთელია, მჯერა, რომ მას კიდევ ძალუძს, ინგლისის ეროვნული გუნდის ღირსება დაიცვას, მაგრამ იძულებული ვარ, კლუბიდან დავითხოვო. ალბათ, ამ საქციელისთვის ბევრს გამაკრიტიკებენ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა — განაცხადა ლივერპულელთა თავკაცმა.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულში" პოლ ინსი 6,83 მილიონ დოლარად 1997 წელს მილანის „ინტერიდან" გადავიდა. მანამდე ექვსი წელი „მანჩესტერ იუნაიტედში", ოთხი წელი კი „ვესტ ჰემში" თამაშობდა.

— ინსისდარ ფეხბურთელს სათადარიგო სკამზე ჯდომა გაუჭირდება. ამიტომაც უმჯობესია, ახლავე შეუდგეს სხვა კლუბის ძებნას — თქვა ულიემ.

რაც შეეხება ინსის ნაკრებში თამაშს, ლივერპულელთა ფრანგი დამრიგებლის აზრით, ეს ინგლისის ნაკრების თავკაც, კევინ კიგანზეა დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ ინგლისელთა ეროვნული გუნდის ნამყვანმა ფეხბურთელმა ნაკრების მაისურა ბოლოჯერ გასულ თებერვალს მოირგო, როცა ინგლისელები უემბლიზე ფრანგებს ამხანაგურად ეთამაშნენ. ოფიციალურ შეხვედრაში კი მან უკანასკნელად 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, გასული წლის ოქტომბერში შვედების წინააღმდეგ მიიღო მონაწილეობა, საიდანაც უხეშობის გამო გააძევეს და სამი მატჩით დისკვალიფიკაციასაც გამოკრა ხელი.

**კოკა ტყავაძე**

# დიადი მწვრთნელები



ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ალექს ფერგიუსონი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ხელხვავიანი მწვრთნელია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ტიტულოვან მწვრთნელთა სიაში მესამეა, ადვილი შესაძლებელია უახლოეს მომავალში პირველი გახდეს — მისი „მანჩესტერ იუნაიტედი“ შინაურ სარბიელზე უძლეველია და ევროპაშიც თავის სიტყვას ომახიანად ამბობს. რაც ფერგიუსონი მანჩესტერელებს წვრთნის, გუნდმა უკვე ცამეტი ჯილდო მოიგო

უცნაურია მათი ცხოვრება — შექმნიან ძლიერ გუნდებს, მოიგებენ უამრავ ტურნირს და იტყვიან, ბრწყინვალე გუნდიაო. აგებენ მათი გუნდები და ყველაფერს მწვრთნელებს აბრალებენ — ვერ გათვალაო. ძნელია მწვრთნელობა.

ფეხბურთის დაბადებისთანავე გამოჩნდნენ პირველი მწვრთნელები. იქნებ მათ მაშინდელ ფეხბურთში იმდენად მნიშვნელოვანი როლი არ ენიჭებოდათ, როგორც დღეს, მაგრამ ხომ იყვნენ. თან საეჭვოა, მაინცდამაინც უუფლებონი ყოფილიყვნენ.

ვითარდებოდა ფეხბურთი და ამის მიზეზი მწვრთნელები იყვნენ. სწორედ გუნდის ნიჭიერ ხელმძღვანელებთანაა დაკავშირებული ფეხბურთის ისტორიაში ამა თუ იმ შესანიშნავი გუნდის გამოჩენა, ახალი ტაქტიკის მიგნება-აღმოჩენა, მრავალი საფეხბურთო ცვლილება და ეშმაკობა, თავდასხმის რომელიმე ახალი სახე თუ დაცვის ესა თუ ის სტილი. მწვრთნელები იყვნენ ფეხბურთის მასაზრდოებლები და დღესაც ასეთებად რჩებიან.

რაც კი ფეხბურთში ეპოქალური ცვლილებები მომხდარა, ყველა მწვთნელებს განუპირობებიათ. ინგლისელი ჰერბერტ ჩეპმენი არ იყო, ნისლიან ალბიონზე ტაქტიკური რევოლუცია რომ მოახდინა? მისი გაწვრთნილი გუნდები ზედიზედ იგებდნენ ტიტულებს და მეტოქეთათვის ნამდვილ რისხვად იქცნენ, არადა, წარმატების მიზეზი ერთი შეხედვით ძალიან მარტივი იყო — ფეხბურთელებს კონკრეტული დავალებები მიეცათ, როცა სხვა გუნდებში ამ მხრივ სრული არეულობა იყო. თუნდაც ვისენტე ფეოლა გავიხსენოთ, ლეგენდარული სქემის, 4-4-2-ის სულისჩამდგმელი. სწორედ ფეოლას მიგნების წყალობით მოიგო ბრაზილიამ 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. თუნდაც ელენიო ერერა, „კატენაჩოს“ შემქმნელი, დაცვის ახლებური სტილის ფუძემდებელი, ფოლადივით ძლიერი გუნდების მწვრთნელი. განა ერერას „ინტერი“ არ იყო, წლების მანძილზე ევროპაში და მსოფლიოში ბადალი რომ არ ჰყავდა? მერე რინუს მიხელსი მოვიდა და მსოფლიო ფეხბურთში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა — მისმა ტოტალურმა ფეხბურთმა ჰოლანდიელებს უდიდესი წარმატება მოუტანა. იგივე ჯოვანი ტრაპატონი, ალექს ფერგიუსონი, ფაბიო კაპელო, არიგო საკი, მარჩელო ლიპი, ლუის ვან გაალი, იოჰან კრუიფი...

იყვნენ დიადი მწვრთნელები და მათი წყალობით ფეხბურთი უფრო და უფრო ლამაზდებოდა, საინტერესო ხდებოდა. ისევე, როგორც ფეხბურთი, მწვრთნელებიც ამოუწურავია თემაა და მასზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი.

ამას წინათ, ინტერნეტში კირკიტისას, შემთხვევით ევროპის ყველა დროის ყველაზე ტიტულიან მწვრთნელთა ჩამონათვალს წავაწყდი. ამ წერილის დაწერა სწორედ ზემოხსენებულმა შემთხვევამ მაფიქრებინა — რომ დავხედე სიას, მართლაც შთამბეჭდავი იყო, თან რამდენიმე ახლაც მოქმედ მწვრთნელს მოვკარი თვალი.

არიან მწვრთნელები, რომლებიც ძირითადად შინაურ ასპარეზზე არიან ძლიერნი და ევროპაში თავს მაინცდამაინც ვერ მოიწონებენ. არიან ისეთებიც, შინაურ სარბიელზე და ევროპაშიც ერთნაირი სიძლიერით რომ გამოირჩევიან.

მაგალითად, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი ერთადერთი მწვრთნელია მთელ ბებერ კონტინენტზე, ხუთივე საკლუბო ჯილდო რომ მოუპოვებია. 70-80-იან წლებში მან მართლაც შესანიშნავი „იუვენტუსი“ შექმნა და ტურინულ კლუბთან ერთად მანამდე მიუღწეველი სიმაღლეები დალაშქრა. არანაკლებ ტიტულიანია შოტლანდიელი ალექს ფერგიუსონი, რომლის საერთაშორისო საკლუბო გამარჯვებებს საკონტინენტთაშორისო და უეფას თასები აკლია. ყველაფრის მიუხედავად, ტრაპატონიც და ფერგიუსონიც გამარჯვებ[illegible]ით ჩამორჩებიან ორ შოტლანდიელს — საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ბილი მეილის და 60-იანი წლების დაუმარცხებელი „სელტიკის“ თავკაცი ჯოკ სტეინს. ამ ორი მწვრთნელის ხელხვავიანობის მიზეზი ისაა, რომ შოტლანდიის ერთი შეხედვით სუსტი პირველობის ორი უძლიერესი კლუბიდან ერთს, „სელტიკს“ თავკაცობდნენ. გლაზგოურმა გუნდმა მათ ხელში საერთო ჯამში 25-ჯერ მოიგო შოტლანდიის ჩემპიონატი.

ამ ჩამონათვალში განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორვატი ტომისლავ ივიჩი — უცნაურია, წარმოუდგენელიცაა, მაგრამ ფაქტია, რომ მან კარიერის მანძილზე ექვსი ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ივიჩი შესანიშნავი მოაზროვნე და ძლიერი მწვრთნელი გახლდათ.

ზემოთ ალექს ფერგიუსონი ვახსენეთ. ამაყმა შოტლანდიელმა „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეორედ შვა. მისი გუნდი, რომელიც ბოლო წლებია, უძლეველია ნისლიან ალბიონზე, ერთი ხანობა თითქოს მზად არ იყო კონტინენტური წარმატებებისთვის, მაგრამ გაზაფხულზე ჩემპიონთა ლიგის საოცარმა ფინალმა და საერთოდ, უკვე გასრულებულმა გათამაშებამ დაგვანახა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უდავოდ ძლიერი გუნდია.

| ჰოლიველი | 32 | 3 | 9 | 20 | 38:86 | 18 |

გავარდა ჰოლიველი

თასის ფინალი

ბერი თაუნი — კერნერფონი 3:0

## უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 23 | 5 | 2 | 75:17 | 74 |
| შახტიორი | 30 | 20 | 5 | 5 | 70:25 | 65 |
| კრივბასი | 30 | 16 | 11 | 3 | 43:18 | 59 |
| კარპატი | 30 | 15 | 10 | 5 | 54:34 | 55 |
| მეტალურგი (მ) | 30 | 14 | 6 | 10 | 35:27 | 48 |
| მეტალისტი | 30 | 14 | 5 | 11 | 31:32 | 47 |
| ცსკა | 30 | 11 | 10 | 9 | 37:35 | 43 |
| მეტალურგი (ზ) | 30 | 12 | 6 | 12 | 46:43 | 42 |
| ტავრია | 30 | 10 | 7 | 13 | 33:39 | 37 |
| ვორსკლა | 30 | 10 | 5 | 15 | 36:43 | 35 |
| ზირკა | 30 | 9 | 7 | 14 | 31:40 | 34 |
| დნეპრი | 30 | 9 | 5 | 16 | 28:44 | 32 |
| ნივა | 30 | 8 | 7 | 15 | 29:41 | 31 |
| მეტალურგი (დ) | 30 | 7 | 7 | 16 | 27:51 | 28 |
| პრიკარპატიე | 30 | 6 | 6 | 18 | 21:59 | 24 |
| ნიკოლაევი | 30 | 2 | 6 | 22 | 18:67 | 12 |

გავარდნენ ნიკოლაევი

ალზევდა ჩერნომორეცი

ბომბარდირი შევჩენკო (დინამო) — 18

თასის ფინალი

დინამო — კარპატი 3:0

## უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 34 | 27 | 2 | 5 | 77:26 | 83 |
| ფერენცვაროში | 34 | 19 | 7 | 8 | 61:40 | 64 |
| უიპეშტი | 34 | 20 | 3 | 11 | 58:40 | 63 |
| დიორ ეტო | 34 | 16 | 11 | 7 | 53:39 | 59 |
| ვაშაში | 34 | 15 | 10 | 9 | 51:44 | 55 |
| ზალაეგერცეგი | 34 | 15 | 8 | 11 | 43:37 | 53 |
| დიოშდიორი | 34 | 14 | 9 | 11 | 56:51 | 51 |
| დებრეცენი | 34 | 14 | 7 | 13 | 53:39 | 49 |
| ვაცი | 34 | 13 | 10 | 11 | 51:49 | 49 |
| გაზერი | 34 | 11 | 11 | 12 | 37:40 | 44 |
| დუნაფერი | 34 | 11 | 9 | 14 | 54:46 | 42 |
| კიშპეშტი | 34 | 11 | 9 | 14 | 38:50 | 42 |
| ნიერშეგი | 34 | 10 | 9 | 15 | 46:52 | 39 |
| ჰალადაში | 34 | 10 | 6 | 18 | 39:54 | 36 |
| შიოფოკი | 34 | 7 | 9 | 18 | 32:49 | 30 |
| ვიდეოტონი | 34 | 7 | 9 | 18 | 36:54 | 30 |
| ბვსც | 34 | 7 | 6 | 21 | 34:53 | 27 |
| კერულეტი | 34 | 4 | 6 | 24 | 40:93 | 18 |

გავარდნენ ბვსც, კერულეტი

თასის ფინალი

დებრეცენი — ტატაბანია 2:1

## ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 17 | 9 | 4 | 62:23 | 60 |
| ტეპლიცე | 30 | 16 | 7 | 7 | 55:30 | 55 |
| სლავია | 30 | 15 | 10 | 5 | 51:31 | 55 |
| ოლომოუცი | 30 | 12 | 11 | 7 | 42:34 | 47 |
| ბანიკი | 30 | 10 | 15 | 5 | 39:26 | 45 |
| ხმელი | 30 | 12 | 6 | 12 | 48:44 | 42 |
| ბობი | 30 | 11 | 8 | 11 | 37:33 | 41 |
| ვიკტორია (ჟ) | 30 | 12 | 4 | 14 | 31:46 | 40 |
| ჰრადეცი | 30 | 11 | 6 | 13 | 33:40 | 39 |
| სლოვანი | 30 | 9 | 11 | 10 | 33:34 | 38 |
| დრნოვიცე | 30 | 9 | 10 | 11 | 35:44 | 37 |
| იაბლონეცი | 30 | 9 | 8 | 13 | 37:46 | 35 |
| დუკლა | 30 | 8 | 9 | 13 | 28:41 | 33 |
| პოტავა | 30 | 8 | 8 | 14 | 40:54 | 32 |
| ვიკტორია (პ) | 30 | 8 | 8 | 14 | 26:43 | 32 |
| კარვინა | 30 | 6 | 4 | 20 | 27:55 | 22 |

გავარდნენ ვიკტორია (პ), კარვინა

თასის ფინალი

სლავია — სლოვანი 1:0

## ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლენტორანი | 36 | 24 | 6 | 6 | 74:35 | 78 |
| ლინფილდი | 36 | 21 | 9 | 6 | 68:38 | 72 |
| კრუზეიდერსი | 36 | 18 | 8 | 10 | 48:39 | 62 |
| ნიური | 35 | 17 | 8 | 10 | 51:45 | 59 |
| გლენავონი | 36 | 13 | 12 | 11 | 49:35 | 51 |
| ბოლიმინა | 36 | 11 | 8 | 17 | 40:42 | 41 |
| პორტდაუნი | 36 | 10 | 9 | 17 | 41:46 | 39 |
| კოლრეინი | 36 | 9 | 9 | 18 | 33:54 | 36 |
| კლიფტონვილი | 36 | 7 | 14 | 15 | 31:47 | 35 |
| ომაგი | 35 | 5 | 5 | 25 | 24:78 | 20 |

გავარდნენ კოლრეინი, კლიფტონვილი, ომაგი

## შოტლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 36 | 23 | 8 | 5 | 78:31 | 77 |
| სელტიკი | 36 | 21 | 8 | 7 | 84:35 | 71 |
| სტ. ჯონსტონი | 36 | 15 | 12 | 9 | 39:38 | 57 |
| კილმარნოკი | 36 | 14 | 14 | 8 | 47:29 | 56 |
| დანდი | 36 | 13 | 7 | 16 | 36:55 | 46 |
| ჰართსი | 36 | 11 | 9 | 16 | 44:50 | 42 |
| მოზერველი | 36 | 10 | 11 | 15 | 35:54 | 41 |
| აბერდინი | 36 | 10 | 7 | 19 | 43:71 | 37 |
| დანდი იუნ. | 36 | 8 | 10 | 18 | 36:48 | 34 |
| დანფერმლაინი | 36 | 4 | 16 | 16 | 28:59 | 28 |

გავარდა დანფერმლაინი

თასის ფინალი

რეინჯერსი — სელტიკი 1:0

## ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 34 | 25 | 5 | 4 | 76:38 | 80 |
| ტილბურგი | 34 | 20 | 5 | 9 | 69:46 | 65 |
| ეინდჰოვენი | 34 | 17 | 10 | 7 | 87:55 | 61 |
| ვიტესი | 34 | 18 | 7 | 9 | 61:44 | 61 |
| როდა | 34 | 17 | 9 | 8 | 59:40 | 60 |
| აიაქსი | 34 | 16 | 9 | 9 | 73:41 | 57 |
| ჰერენვენი | 34 | 14 | 12 | 8 | 53:41 | 54 |
| ტვენტე | 34 | 13 | 13 | 8 | 51:45 | 52 |
| ალკმაარი | 34 | 12 | 12 | 10 | 52:60 | 48 |
| სიტარდი | 34 | 12 | 8 | 14 | 49:56 | 44 |
| ნაიმეგენი | 34 | 10 | 9 | 15 | 42:56 | 39 |
| უტრეხტი | 34 | 10 | 8 | 16 | 54:64 | 38 |
| გრააფსხაპი | 34 | 8 | 12 | 14 | 40:57 | 36 |
| მაასტრიხტი | 34 | 7 | 11 | 16 | 42:63 | 32 |
| კამბური | 34 | 7 | 11 | 16 | 37:64 | 32 |
| ვალვაიკი | 34 | 6 | 9 | 19 | 41:62 | 27 |
| სპარტა | 34 | 7 | 5 | 22 | 37:71 | 26 |
| ბრედა | 34 | 4 | 11 | 9 | 41:61 | 23 |

გავარდა ბრედა

ვალვაიკმა და სპარტამ გადასასვლელი პლეი ოფი მოიგეს და ლიგაში დარჩნენ

ალზევდა დენ ბოში

ბომბარდირი ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) — 31

თასის ფინალი აიაქსი — სიტარდი 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პერუცი ინტერში

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მეკარე ანჯელო პერუცი ახალი სეზონიდან მილანის „ინტერში" ითამაშებს. მილანურმა კლუბმა მასში 28 მილიარდი ლირა (14,78 მილიონი დოლარი) გადაიხადა.

„ინტერის" თავკაცები ამბობენ, რომ ივნისში სწორედ ამ თანხაზე ელაპარაკნენ „ბებერ ქალბატონს", წინასწარი დასტურიც მიიღეს, მაგრამ მერე ტურინელებმა აიჩემეს, საუბარი 33 მილიარდ ლირაზე იყო და თუ მილანელები უარს იტყვიან, გარიგებას ჩავშლითო.

გუშინწინ „ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ თქვა, პერუცისთან დაკავშირებით ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად გონიერად მოიქცევიან „იუვეს" თავკაცებიო. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ პერუციმ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ოფიციალურად გახდა „ინტერის" წევრი.

# აზიას ევროპის ხარჯზე

ფიფამ გადაწყვიტა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც იაპონიასა და კორეაში გაიმართება, აზიას ერთი დამატებითი ადგილის შანსი მისცეს. თუ შარშანდელ ჩემპიონატზე ევროპას 15 წარმომადგენელი ჰყავდა, ახლა პირდაპირ ფინალურ ეტაპზე მხოლოდ 14 ევროპული ქვეყანა მოხვდება, მეთხუთმეტეს ვინაობა კი აზიურ გუნდთან დამატებით მატჩებში გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე აზიას 4 ადგილი ჰქონდა გამოყოფილი და იქაურმა ფეხბურთის კონფედერაციამ ფიფას მიმართა, ერთი დაგვიმატეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონატს ბოიკოტით ემუქრებოდნენ. როგორც ხედავთ, აზიელთა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო.

## რუსეთი

XV ტური

სატურნი 2:2 ტორპედო

ჟემჩუჟინა 1:1 როსტსელმაში

ლოკომოტივი 5:1 როტორი

დინამო 1:0 ცსკა

კრილია 3:1 სპარტაკი

ალანია 2:2 ზენიტი

ურალანი 1:0 შინიკი

ჩერნომორეცი 0:1 ნ. ნოვგოროდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 18 | 12 | 4 | 2 | 36:14 | 40 |
| ლოკომოტივი | 15 | 10 | 2 | 3 | 34:15 | 32 |
| ცსკა | 15 | 8 | 5 | 2 | 25:11 | 29 |
| ტორპედო | 16 | 7 | 8 | 1 | 18:11 | 29 |
| ალანია | 15 | 7 | 4 | 4 | 30:19 | 25 |
| როსტსელმაში | 15 | 7 | 4 | 4 | 19:16 | 25 |
| დინამო | 15 | 7 | 3 | 5 | 26:23 | 24 |
| ზენიტი | 15 | 5 | 6 | 4 | 20:16 | 21 |
| ნ. ნოვგოროდი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:20 | 19 |
| ურალანი | 15 | 4 | 3 | 8 | 10:17 | 15 |
| კრილია | 16 | 4 | 3 | 9 | 21:29 | 15 |
| როტორი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | 15 |
| ჩერნომორეცი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:26 | 13 |
| სატურნი | 16 | 3 | 4 | 9 | 14:27 | 13 |
| შინიკი | 15 | 2 | 6 | 7 | 9:21 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 15 | 0 | 7 | 8 | 8:29 | 7 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"
## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

### ქვეყნის ჩემპიონატები

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# წილისყრით უკმაყოფილო ქართველები მედლებისთვის მაინც იბრძოლებენ



ნუგზარ ჭეიშვილი კადეტებს არიგებს

*როდესაც სიტყვა ქართული კალათბურთის მომავალზე ჩამოვარდება, ხელს უმალ კადეტთა ნაკრებისკენ გაიშვერენ ხოლმე და არცთუ უსაფუძვლოდ. მართლაც, ჩვენს ყოფას თვალს თუ გადავავლებთ, ამის კვალობაზე **ნუგზარ ჭეიშვილის** ბიჭების წარმატება უფრო მკაფიოდ გამოჩნდება. ქართველმა თექვსმეტწლამდელებმა უკვე მთელ ევროპას დაუმტკიცეს თავიანთი სიძლიერე და კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს.*

*ევროპის თორმეტ უძლიერეს გუნდში მოხვედრა კადეტებს ამთავითვე წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ, თუმცა მათი მთავარი მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილის ნათქვამს თუ ვირწმუნებთ, ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რისი მიღწევაც ამ თაობას შეუძლია — სლოვენიაში გუნდი მედლებისთვის იბრძოლებსო, პირდაპირ გვეუბნება მწვრთნელი.*

*ალილო და ხვალეო, თხუთმეტ ივლისამდე რაღა დარჩა. ამ დღეს გუნდი სლოვენიის ქალაქ სელეში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში ჩაებმება და ყველაფერიც იქ გამოჩნდება. მანამდე კი ნუგზარ ჭეიშვილს მოვუსმინოთ, რომელსაც, ცხადია, საწუხარიც ბევრი აქვს:*

— კარგი იქნებოდა, წილისყრაში მეტად რომ გაგვმართლებოდა. ძალიან ძნელი ჯგუფი შეგვხვდა, ტურნირის ყველა ფავორიტმა ჩვენთან მოიყარა თავი. იუგოსლავია წინა პირველობის ჩემპიონია, რუსეთი — მეორეადგილოსანი, სლოვენია მასპინძელია, თურქთა და ბერძენთა სიძლიერეც კარგად მოგეხსენებათ. მეორე ჯგუფში გაცილებით სუსტი გუნდებია, ვერც კი შევადარებ. პოლონეთი, ლატვია და ესპანეთი საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებული გვყავს, ფრანგებთან ცოტაღა დაგვაკლდა გამარჯვებამდე, ხორვატია და მაკედონიაც ისეთი რა უნდა იყოს.

**— გეთანხმებით, რომ მართლაც ძლიერი ჯგუფი შეგხვდათ, უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი აღარც ღირს. როგორმე ოთხეულში უნდა შეაღწიოთ, მერე კი...**

— თუ გგონიათ, უიმედოდ ვართ, ძალიან ცდებით. ოთხეული კი არა, მედლები გვინდა, ყველაზე უარეს შემთხვევაში კი მეხუთე ადგილი, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოგვცემს.

**— მაინც, რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?**

— ჩემი გუნდი. მერწმუნეთ, ქართველი კადეტები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

**— მზადებას როდიდან შეუდექით?**

— შეკრებაზე პირველი ივლისიდან გადავედით, იქამდე კი კალათბურთელებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ.

**— როგორ ფიქრობთ, ორკვირიანი ვარჯიშები საკმარისია მიზნის მისაღწევად?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. სანამ ჩემპიონატი არ დამთავრდა, გუნდი ვერ შევკრიბე.

**— კვიპროსის ტურნირის შემდეგ გუნდმა ახლაღა ივარჯიშა პირველად?**

— სრული შემადგენლობით კი, თუმცა მანამდე ეროვნული ნაკრების შვეიცარიაში ყოფნით და ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენებით ვისარგებლეთ და ვაკის მანეჟში ფიზიკური მომზადების სრული კურსი გავიარეთ. სამწუხაროდ, მაშინ ბევრი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა.

**— ახლა როგორ ვარჯიშობთ?**

— დიდუბის მანეჟში ვცხოვრობთ და დილაობით აქვე დარბაზში გავდივართ წვრთნას. კალათბურთელებს ჯერ თეორიული მეცადინეობები უტარდებათ, შემდეგ ბურთზე მუშაობა და სროლების დახვეწა ევალებათ. საღამოობით კი ვერის ბაღში ორმხრივად ვთამაშობთ, ანაც სხვადასხვა ასაკის გუნდები გვიწევენ სპარინგ-პარტნიორობას.

**— რამდენადაც ვიცი, ერთხანს სერიოზული ფინანსური პრობლემები გაგიჩნდათ, სლოვენიაში გასამგზავრებლად გვარიან თანხაზე იყო საუბარი...**

— ორი წლის წინ, როდესაც ხარჯთაღრიცხვა გაკეთდა, ყველაფერი გათვალისწინებული იყო. მერე, ლარის კურსის გაუფასურების შედეგად, ფინანსებიც შემოგვაკლდა და სულ მთლად უსახსროდ დავრჩით. საბედნიეროდ, განათლების სამმართველოს სპორტული განყოფილების გენერალური დირექტორი ვაჟა ჭკუასელი დაგვეხმარა და ფედერაციასთან ერთად სლოვენიაში წასასვლელი თანხები მოიძია. თუ არ ვცდები, საუბარია 35 ათას ლარამდე.

**— წინა საკვალიფიკაციო ტურნირების შემდეგ გუნდის შემადგენლობა თუ გადახალისდა?**

— იმ კალათბურთელებს მხოლოდ ვითელი ტატო ვაშაკიძე დავამატე. ამჟამად ჩემი ხელმძღვანელობით თოთხმეტი მოთამაშე ვარჯიშობს, რომელთაგანაც ორს შინ დარჩენა მოუწევს. წამსვლელთა ვინაობას კი თორმეტ ივლისს დავასახელებ.

**— კმაყოფილი ხართ ბიჭების სათამაშო კონდიციებით?**

— სიმართლე რომ გითხრათ თავიდან გაწურული ლიმონებივით იყვნენ. ცხრათვიანმა ჩემპიონატმა კალათბურთელები სულ მთლად მოქანცა. მეც გავითვალისწინე მათი მდგომარეობა და ძალიან არ ვტვირთავდი. ახლა გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ბიჭები ნელ-ნელა იბრუნებენ ჩვეულ სახეს და იმედი მაქვს, სლოვენიისთვის სათამაშო ფორმის პიკსაც მიაღწევენ.

**— მეტოქე გუნდებზე თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა?**

— შარშანდელი იუგოსლავია-თურქეთის თამაშის ვიდეოჩანაწერი მოვიპოვეთ. ყოველდღე ვუყურებთ და გარკვეული დასკვნებიც გამოქვავს. არა მგონია, მას მერე გუნდებს სახე ეცვალათ. ამას წინათ ბოისას დავუკავშირდით და სლოვენიის ნაკრებზე დავეკითხეთ. არც ისე ძლიერები არიან, უნდა მოუგოთო დაგვამშვიდა. ბერძნების თამაში პირადად არ მინახავს, თუმცა მათი კადეტების ყველა მატჩის ტექნიკურ შედეგებზე მიგვიწვდა ხელი და გარკვეულწილად ესეც დაგვეხმარება.

**— ალბათ, თქვენს თამაშსაც შეისწავლიდნენ მოწინააღმდეგენი...**

— ახლახან მაცნობეს, რომ უკლებლივ ყველა გუნდს ჰქონია ჩვენი შეხვედრების ვიდეოფირი, თუმცა ეშმაკურ ხერხს მივმართეთ და სლოვენიაში სულ სხვა სტილში თამაშს ვაპირებთ.

**— როგორც გავიგეთ, მზადებაში თბილისში შვებულებით მყოფი ვლადიმერ სტეფანიაც დაგეხმარათ.**

— ასეა. ვოვა მართლაც მხარში ამოგვიდგა. გარდა იმისა, რომ ჩვენი ცენტრები რამდენჯერმე ინდივიდუალურად ავარჯიშა, არაერთი სიახლე დანერგა გუნდის სათამაშო ტაქტიკაში. აკი გითხარით, ნაკრებმა ძირეულად იცვალა სახე, შევცვალეთ კომბინაციები, კიდევ- ცხოვრების სტილი. საქმისადმი პროფესიული მიდგომა ახლა უფრო იგრძნობა.

**— თქვენ ჯერ არაფერი გითქვამთ მსაჯებზე. ფაქტია, რომ ქართველი არბიტრი არც ამ ტურნირზე იქნება წარმოდგენილი. ეს ხომ არ გაფრთხობთ?**

— ეს ძალიან, ძალიან ცუდია, თუმცა რას ვიზამთ, კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება და უნდა შევეგუოთ. დარწმუნებული ვარ, სლოვენიაში მსაჯები ჩვენზე ზეწოლას მოახდენენ, მაგრამ ბიჭებს სულ იმას ვუჩიჩინებ, რომ ამას ყურადღება არ მიაქციონ, თავიანთი თამაში აჩვენონ.

დაუწერელი კანონია, მატჩს იგებს მოთამაშე, აგებს მწვრთნელი. ჩვენთან მწვრთნელებს რატომღაც უჭირთ ამის აღიარება და წაგებულები რას აღარ იმიზეზებენ ხოლმე.

ჩემს შემთხვევაში ასე არ მოხდება. ღმერთმა ნუ ქნას და თუ მიზანს ვერ მივაღწიეთ, ამაში მთავარი დამნაშავე მე ვიქნები. მნიშვნელობა არა აქვს, მსაჯი ათჯერ დაგვაჯარიმებს თუ ორმოცდაათჯერ, მარტო იმას ვიფიქრებ, გუნდს რაღაც დავაკელი-მეთქი.

**გიორგი ბიძაშვილი**

| საქართველოს კადეტთა ნაკრების თამაშთა განრიგი (დრო თბილისისაა) | | |
|---|---|---|
| 15 ივლისი | საქართველო — რუსეთი | 19 სთ. |
| 16 ივლისი | საქართველო — იუგოსლავია | 23 სთ. |
| 17 ივლისი | საქართველო — თურქეთი | 23 სთ. |
| 19 ივლისი | საქართველო — საბერძნეთი | 19 სთ. |
| 20 ივლისი | საქართველო — სლოვენია | 23 სთ. |

*ზუსტად ერთი წლის წინ მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის პლეი ოფში მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო საქართველოს კალათბურთიდან განუსაზღვრელი ვადით მოკვეთილ კახა შენგელიას იმედად უცხოურ კლუბებში ასპარეზობა[illegible] — რაღა უნდა ექნა ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ცენტრს, 208-სანტიმეტრიან და 130-კილოგრამიან კაცს? ჯერ თურქეთის ქალაქ ანტალიას მიაკითხა, სადაც ორი თვე თამაშობდა, მაგრამ რომ შეატყო თურქები დანაპირების შესრულებას არ აპირებდნენ, ბულგარეთში გადაბარგდა. ბულგარელები თურქებთან შედარებით უფრო ნამუსიანები გამოდგნენ და ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ქართველ ლეგიონერს გულახდილად გამოუცხადეს — დანაპირების შემსრულებლები არა ვართ და ჩვენს იმედად ნუ იქნებითო. ბედის მესამე ცდამ ჩვენებური პოლონეთის ქალაქ ვროცლავში მოახვედრა, რომლის საკალათბურთო გუნდი „ცეპტერი" პოლონეთის ჩემპიონი გახდა.*

*კალათბურთის მოყვარულთ შევახსენებთ, რომ დაახლოებით 9-10 წლის წინ ნოდარ ქორქია და პაატა გურასპაული პირველი ქართველი ლეგიონერები იყვნენ, რომლებმაც უცხო ქვეყნის, კონკრეტულად კი პოლონეთის ჩემპიონობა მოიპოვეს პოზნანის „ლეხში" ასპარეზობის დროს. ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს კი კახაბერ შენგელიამ გაიმეორა უფროსი კოლეგების წარმატება.*

# პოლონეთის ჩემპიონმა შენგელიამ უნგრეთის ვიცეჩემპიონს მიაშურა

**— კახა, პოლონელებმა თუ შეასრულეს მოცემული სიტყვა?**

— შეასრულეს და თან როგორ! ჩემპიონატის ბოლოს გამარჯვებისათვის შესაფერისი პრემიების გაცემაც არ დავიწყებიათ.

**— როგორი გუნდია პოლონეთის ჩემპიონი?**

— ვროცლაველები ზედიზედ მეორედ გახდნენ პოლონეთის ჩემპიონები. გუნდის ზუსტი სახელწოდებაა „ცეპტერ შლიონსკ ვროცლავი", შემოკლებით კი „ცეპტერს" ეძახიან. ძლიერი გუნდია და ამიტომაც არ თმობს ქვეყნის ჩემპიონობას.

**— გამოკვეთილი ლიდერია, თუ გაუჭირდა ოქროს მედლების შენარჩუნება?**

— ძალზე დაძაბული პლეი ოფი იყო. ნახევარფინალი სამ, ხოლო ფინალი ოთხ მოგებამდე გრძელდებოდა. ორივე შემთხვევაში შესაბამისად ხუთი და შვიდი მატჩის ჩატარებამ მოგვიწია.

**— თქვენს გარდა ლეგიონერები თუ ჰყავს „ცეპტერს"?**

— ამერიკელი ჯონ მაკნოლი და სეულის ოლიმპიადის ჩემპიონის, ლატვიელი იგორის მიგლინიეკსის უმცროსი ძმა, რაიმონდას მიგლინიეკსი.

**— როდის ჩაირიცხეთ „ცეპტერში" და როგორი იყო კონტრაქტის პირობები?**

— ვროცლაველებს ტანმაღალი კალათბურთელი ესაჭიროებოდათ და ჩემი მენეჯერის საშუალებით მიმდინარე წლის იანვრიდან გავაფორმე კონტრაქტი სეზონის ბოლომდე.

**— ამჟამად თავისუფალი კალათბურთელი ბრძანდებით?**

— უნგრეთის ვიცე-ჩემპიონ „ფალკოსთან" კონტრაქტს მხოლოდ ჩემი ხელის მოწერაღა აკლია.

**— მომავალ გუნდზე რას გვეტყვით?**

— ჯერჯერობით ვერაფერს. ყველაფერი ჩემი მენეჯერის შუამდგომლობით გაკეთდა.

**— კონტრაქტის პირობები კი უთუოდ გეცოდინებათ.**

— უნგრელები მრავალწლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ მე მხოლოდ სეზონის ბოლომდე დავთანხმდი. შეიძლება შემდეგ უკეთესი გუნდი გამოჩნდეს და არ მინდა კონტრაქტის გამო პრობლემები შემექმნას.

**— ცეპტერიდან" რატომ წამოხვედით. კონტრაქტის გაგრძელება აღარ შემოუთავაზებიათ?**

— შემომთავაზეს, მაგრამ პოლონელებთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ მაწყობდა. არა მატერიალური თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ ცოტას ვთამაშობდი. გუნდს ბევრი ლიდერი ჰყავდა. რასაც მავალებდნენ ვაკეთებდი, მაგრამ მე 35-40 წუთს ვარ მიჩვეული მოედანზე ყოფნას. უნგრელებს იმიტომ დავთანხმდი, რომ ძირითადი ცენტრი უნდა ვიყო.

**— პოლონელებისა და უნგრელების გარდა სხვა ქვეყნის გუნდებიც ხომ არ ყოფილან თქვენით დაინტერესებულნი?**

— ყველაზე მეტად ისრაელის გუნდები აქტიურობდნენ, მაგრამ მე და ჩემმა მენეჯერმა უნგრეთის ვარიანტი ვამჯობინეთ.

**— კახა, ხშირად ახსენებთ თქვენს მენეჯერს, რომლის შესახებაც კონკრეტულად არაფერს გვეუბნებით.**

— ბულგარელი ნიკალაი ტენევია, იგი, ამავე დროს, ვახტანგ ნაცვლიშვილის მენეჯერიცაა.

**— ტენევთან დიდი ხნის ურთიერთობა გაქვთ?**

— ვატომ გამაცნო დაახლოებით ერთი წლის წინ და იმის შემდეგ ვთანამშრომლობთ.

**— ეს თქვენს დისკვალიფიკაციამდე მოხდა თუ მერე?**

— დისკვალიფიკაციის შემდეგ.

**— ერთი წლის წინ მომხდარი ამბების გახსენება ცოტა ნაგვიანები კი არის, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და...**

— არ მსიამოვნებს ამ თემაზე საუბარი. კარგი იყო არ მომხდარიყო, მაგრამ რახან მოხდა, ძალაუნებურად შევეგუე.



კახა შენგელია

**— რამდენად სამართლიანი იყო სტკ-ს გადაწყვეტილება თქვენთვის გამოტანილი დისკვალიფიკაციის შემთხვევაში?**

— არასდროს ვყოფილვარ მოედანზე ისე მართალი, როგორც მაშინ, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო ხმა არ ამომიღია.

**— როდესაც ეროვნულ ნაკრებს ასე გაუჭირდა და ორი წლით ევროპის ჩემპიონატის მიღმა დავრჩით, თქვენი დისკვალიფიკაციით არავინ დაინტერესებულა?**

— ლატვიასთან და იტალიასთან მატჩის წინ ბატონ ლევან მოსეშვილს დავურეკე და ვუთხარი ფორმაში ვარ და თუ გჭირდებით დაგეხმარებით თქო. მოსეშვილმა მაცნობა: ფიბა-ში გადაგზავნილ სიაში არ ხარ და ამჯერად განაცხადში შენი შეყვანა ფედერაციას არ შეუძლიაო.

**— შვეიცარიაში ჩატარებული საკვალიფიკაციო ტურნირის დროს რაღა მოხდა?**

— მას პოლონეთის ჩემპიონატის პლეი ოფი დაემთხვა და ნაკრებში გამოსვლას ფიზიკურად ვერ ვასწრებდი. მართალია „ცეპტერში" დიდხანს არ მიწევდა მოედანზე ყოფნა, მაგრამ გუნდმა მაინც არ გამანთავისუფლა. დაუკითხავად წამოსვლის შემთხვევაში კი შეეძლოთ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა აღარ გადაეხადათ.

**— რეზო ჩხეიძემ და ვახტანგ ნაცვლიშვილმა საქართველოს ჩემპიონატშიც მოასწრეს მონაწილეობის მიღება უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვეს. საქართველოს გუნდებიდან თქვენ არ გქონიათ წინადადება?**

— საქართველოს ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე მეოთხე წრემდე უნდა მომესწრო განთავისუფლების ფურცლის წარდგენა ფედერაციაში, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ამ დროისათვის პოლონეთის ჩემპიონატი დამთავრებული არ იყო.

**— ყველაფერი რომ რიგზე ყოფილიყო, საქართველოს გუნდებიდან რომელს დაეხმარებოდით?**

— ალბათ იმ გუნდს, სადაც ბოლო დროს ვთამაშობდი — „დინამოს".

**— საქართველოში თამაშს აღარ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არა. სექტემბერში 27 წლის ვხდები და რამდენიმე წელი მინდა უცხოეთში ვითამაშო. კარიერას კი აუცილებლად საქართველოში დავასრულებ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# დიდი გული

## ჯემალ აბაიშვილი

დაიბადა 1938 წლის 21 დეკემბერს თბილისში.

გარდაიცვალა 1989 წლის 13 აპრილს

საბჭოთა კავშირის 1962, 1964 წლების ჩემპიონი

1965, 1966, 1967 წლების ვიცე-ჩემპიონი

1963 წლის ბრინჯაოს პრიზიორი

1964, 1967 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე

1964 წლის მსოფლიოს პირველობაზე დაასახელეს სიმბოლურ ნაკრებში

60-იანი წლების საბჭოთა კავშირის უძლიერესი მეკარე

საბჭოთა ნაკრებში ითამაშა 51 მატჩი



ამ გაზაფხულზე, როცა ჩვენმა ფეხბურთელებმა და კალათბურთელებმა სასტიკად გაგვაწბილეს, სპორტის ქართველ ქომაგებს ქართველი ხელბურთელების კარგი თამაშილა გვექცა ერთგვარ მალამოდ. ახლახან ქუჩაში ახალგაზრდა ჟურნალისტები შემხვდნენ, ხელბურთის გულშემატკივრები გავხდითო — თქვეს და მერე ისიც დაამატეს — ეს რა კარგი და სანახაობრივი თამაში ყოფილაო...

ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან და, ცხადია, ვერ მოესწრნენ იმ დროს, როცა საქართველოში ხელბურთელთა მატჩებზეც სავსე იყო სპორტის სასახლე და ჩვენი ვარსკვლავები — ჯემალ ცერცვაძე, თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ანზორ ექსეულიძე და სხვები ისეთივე პოპულარულნი იყვნენ, როგორც ფეხბურთელები და კალათბურთელები.

დღეს 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე და თბილისის „ბურევესტნიკის“ შესანიშნავი გუნდის კაპიტანი ჯემალ აბაიშვილი გვინდა გავიხსენოთ.

ხელბურთი, როგორც ამბობენ, საბჭოთა კავშირში პირველად ოციან წლებში შემოვიდა, თუმც საკმარისად ვერ მოიკიდა ფეხი. ასე რომ, ხელბურთი საბჭოთა კავშირში და კონკრეტულად ჩვენთან, საქართველოში 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიბადა.

როგორც სიახლისას ხდება-ხოლმე, მაშინაც ბიჭები სპორტის სხვადასხვა სახეობიდან მივიდნენ. ასე მოხვდა ხელბურთში ჯემალ აბაიშვილიც. იგი სპორტულ ოჯახში აღიზარდა. ბიძამისი, შოთა აბაიშვილი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლდათ ყმაწვილთა შორის ფეხბურთში, მამა, ევგენიც — მრავალმხრივი სპორტსმენი იყო, განსაკუთრებით კალათბურთში გამოირჩეოდა.

ჯემალიც პიონერთა სასახლეში კალათბურთზე მივიდა. სწორედ იმხანად დაიწყო საქართველოში ხელბურთის განვითარება. ვერისუბნელი ბიჭები, შემდეგში ცნობილი სპორტსმენები, თამაზ ანთაძე და ჯანო ბაგრატიონიც ასე მოხვდნენ ხელბურთში და სწორედ თამაზ ანთაძემ მიიყვანა ჯემალი ხელბურთის წრეში. ის სწორედ რომ მისი სახეობა აღმოჩნდა, რადგან კალათბურთისთვის აბაიშვილი ძალიან დაბალი იყო (171 სმ). ხოლო როგორ აირჩია მეკარეობა, ამას მისი ძმა გურამ აბაიშვილი ასე იხსენებს: „მამა „დინამოს“ ბაზაზე კალათბურთელებს ავარჯიშებდა. შემდეგ კალათბურთელებმა ფეხბურთის თამაში დაიწყეს. ჯემალი კარს უკან იდგა და აცდენილ ბურთებზე ისე სწრაფად რეაგირებდა, იქ მყოფმა ცნობილმა ქართველმა მეკარემ ვლადიმერ მარღანიამ მამას უთხრა, ამისგან შესანიშნავი მეკარე დადგებაო. რასაკვირველია, მარღანია ფეხბურთს გულისხმობდა“.

ფეხბურთის კარში ტანმორჩილი ჯემალი მაინც ვერ იქნებოდა მყარად, ხელბურთისთვის კი მისი მონაცემები გადამწყვეტი აღმოჩნდა. თბილისის „ბურევესტნიკი“ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა და რამდენიმე ხანში ამ ბიჭებმა: ჯემალ ცერცვაძემ, თამაზ ანთაძემ, ანზორ ექსეულიძემ, იმედო ფხაკაძემ, თეიმურაზ ზარლაკიშვილმა, ბორის კოპალეიშვილმა, ჯანო ბაგრატიონმა, გარი მაჭავარიანმა, ლერი კარტოზიამ მთელი საბჭოთა კავშირი აალაპარაკეს.

ვიდრე ოფიციალური საკავშირო პირველობები გაიმართებოდა, ქალაქებს შორის ტარდებოდა ტურნირები. უკვე იქ გამოიჩინეს თავი თბილისის „ბურევესტნიკის“ მოთამაშეებმა: მეკარე არტურ რატიანიძემ და ბომბარდირმა ჯემალ ცერცვაძემ, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვდნენ, 1962 წელს კი საბჭოთა კავშირის პირველი ოფიციალური ჩემპიონატიც გაიმართა.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ შესანიშნავად ჩაატარა პირველობა და დაუმარცხებლად (მხოლოდ სამი ფრე) მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ტურნირის საუკეთესო სნაიპერის წოდება, რასაკვირველია, ჯემალ ცერცვაძეს ხვდა წილად. საუკეთესო მეკარე ჯემალ აბაიშვილი გახდა...

იმ დროიდან საბჭოთა ნაკრებში ცერცვაძის გარდა კიდევ 6 ქართველი მიიწვიეს, ჯემალ აბაიშვილი კი ნაკრების ძირითადი მეკარე გახდა.

ახალგაზრდებს, ვისაც „ბურევესტნიკის“ თამაში არ უნახავს, ალბათ, მთლიანად არ უგრძვნიათ ხელბურთის სილამაზე. ეს შესანიშნავი ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდი იყო. გარდა ოსტატობისა, გუნდის სიძლიერე მოთამაშეთა ერთსულოვნებითაც იყო განპირობებული. ისინი თანატოლები იყვნენ, ბევრი მათგანი თანშეზრდილიც (მაგალითად, ჯემალ აბაიშვილი და ჯანო ბაგრატიონი ბავშვობის მეგობრები იყვნენ) და გუნდის წევრთა მეგობრობა მათ თამაშზეც ახდენდა გავლენას.

1963 წელს ჩემპიონებმა ორი საფეხურით უკან დაიწიეს და მართალია, ჯემალ აბაიშვილი კვლავ საუკეთესო მეკარედ აღიარეს, ცერცვაძე კი ისევ საუკეთესო სნაიპერი გახდა, „ბურევესტნიკი“ მესამე ადგილს დასჯერდა.

აბაიშვილმა განსაკუთრებით ჩინებულად ჩაატარა მომდევნო, 1964 წლის სეზონი, რომელიც თბილისის „ბურევესტნიკისთვის“ კვლავ ტრიუმფალური გამოდგა. ჯემალ აბაიშვილის შესანიშნავად ჩატარებული შეხვედრები მოსკოვის „ტრუდთან“ (სადაც მან ბოლო წუთებზე შვიდჯერ (!) მოიგერია პირისპირ გასული მეტოქის ტყორცნა), კაუნასის „ატლეტასთან“ კარგა ხანს ახსოვდათ ხელბურთის მოყვარულთ. და კიდევ ერთი: ჯემალი ამ ჩემპიონატში მარტო კარის მცველად როდი მოგვევლინა. ორჯერ, კიევის „ბურევესტნიკთან“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან, მან დაინახა, რომ მეკარე წინ გამოვიდა და შორეული ტყორცნებით ბურთი მათ კარში მოათავსა. გარდა ამისა, აბაიშვილის მეშვეობით თბილისელებმა ტაქტიკური სიახლეც შესთავაზეს მეტოქეს: მოსკოვის „ტრუდთან“ იგი მოულოდნელად ჩაერთო შეტევაში და მისი მონაწილეობით გათამაშებულმა კომბინაციამ მოსკოველები სულ დააბნია. ამით ისარგებლა თამაზ ანთაძემ და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის ნაკრებისთვის პირველ მსოფლიოს პირველობაზე ჩეხოსლოვაკიაში ჯემალ აბაიშვილი გუნდის უცილობელ ლიდერად გაემგზავრა. მის გარდა კიდევ ორი ქართველი იყო — ჯემალ ცერცვაძე და ლერი კარტოზია (თუმცა ამ უკანასკნელს იქ თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცა).

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დებიუტანტისთვის საპატიო, მეხუთე ადგილი დაიკავა. თუმცა მოთამაშეთა პოტენციალის გათვალისწინებით პრიზიორებში მოხვედრაც შეეძლო. ქართველებმა კი შესანიშნავად ითამაშეს. ჯემალ ცერცვაძე მსოფლიოს საუკეთესო სნაიპერთა შორის იყო, ჯემალ აბაიშვილმა კი მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. პირველობა ჩეხოსლოვაკიაში ტარდებოდა და ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი მასპინძელთა მეკარეს ფრანტიშეკ არნოშტს მისცეს, სიმბოლურ ნაკრებში კი ორივე შეიყვანეს. თუმც ბევრი ჟურნალისტი და სპეციალისტი აბაიშვილს ანიჭებდა უპირატესობას, ჩეხოსლოვაკიელთა სიამაყე, ფეხბურთის ლეგენდარული მეკარე ფრანტიშეკ პლანიჩკა აბაიშვილის თამაშით აღფრთოვანებული იყო.

სხვათა შორის, აბაიშვილისა და არნოშტის დუელს მეტად საინტერესო გაგრძელება ჰქონდა. ჩემპიონატის შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკი“ პრაღის ნაკრებს შეხვდა. მსოფლიოს ორი საუკეთესო მეკარის დუელი აბაიშვილის უპირატესობით წარიმართა („ბურევესტნიკმა“ მატჩი 27:22 მოიგო) და ჯემალმა მეორე ტაიმში, ჩვეულ სტილში, ბურთი მთელ მოედანს გადაატარა და თავის ვიზავის გოლიც გაუტანა!

შემდეგ წლებში თბილისის „ბურევესტნიკი“ კვლავ საკავშირო ხელბურთის ელიტაში გახლდათ, თუმცა ზედიზედ 3-ჯერ „მხოლოდ“ ვერცხლის მედლებს დასჯერდა, 1967 წელს კი შვედეთის მსოფლიოს პირველობაზე საქართველო კიდევ უფრო სოლიდური წარმომადგენლობით წარდგა: ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი შარაშიძე, მოთამაშეები: ჯემალ ცერცვაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე და ანზორ ექსეულიძე სასტარტო შვიდეულის წევრებად ითვლებოდნენ.

ქვეჯგუფში საბჭოთა ნაკრებმა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონებთან, რუმინელებთან წააგო, დანარჩენი ორი მატჩი მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. იქ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძლიერი გუნდი დაამარცხეს 19:16 და ნახევარფინალში დანიელებს შეხვდნენ. ამ თამაშის ბედი მეკარემ გადაწყვიტა, თუმცა არა ქართველმა, არამედ დანიელმა — ერიკ ჰოლსტმა შესანიშნავად ითამაშა, ბრწყინვალედ მოიგერია საბჭოთა ნაკრების შეტევები და ფინალში დანია გაიყვანა (17:12). სამწუხაროდ, აბაიშვილს მასთან გაჯიბრების შანსი არ მიეცა — მან მხოლოდ 8 წუთი დაჰყო მოედანზე (დანარჩენ დროს უკრაინელი ცაპენკო იდგა) და საბჭოთა ნაკრებმა ფინალამდე ვერ მიაღწია. ფინალში ჩეხოსლოვაკიამ დანიას მოუგო. მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი საბჭოთა ნაკრებმა რუმინელებთან დათმო და პრიზიორთა შორის ველარ მოხვდა.

ამ ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებს სამეულში მოხვედრის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე მსოფლიოს წინა პირველობაზე, მაგრამ, როგორც კულისებში ამბობდნენ, გიორგი შარაშიძემ ვერ გარისკა, სასტარტო შვიდეულში ოთხივე ქართველი დაეყენებინა (არადა, ისინი აშკარად სჯობდნენ კონკურენტებს). ეს გარემოება რომ არა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, ფინალში საბჭოთა ნაკრები უნდა ყოფილიყო,

ამის შემდეგ აბაიშვილმა კიდევ კარგა ხანს ითამაშა „ბურევესტნიკში“, მაგრამ თბილისელთა დიდების წლები უკვე გავლილი იყო. კარიერის ბოლოს ჯემალ აბაიშვილს „ბურევესტნიკშიც“ გამოუჩნდა ღირსეული შემცვლელი — ალექსანდრე ხუციშვილი, რომელსაც უფრო და უფრო მეტად ენდობოდნენ მწვრთნელები. ჯემალმაც ვერ იგუა მეორეობა და ორი სეზონი კრასნოდარის გუნდში გაატარა, თუმც ეს უკვე აღარ იყო „მისი“ გუნდი და „მისი“ თამაში.

თავისი შესანიშნავი კარიერისას ხელბურთში ყველაზე დიდი გაწბილება ჯემალ აბაიშვილს მოედანზე არ უგემია... ევროპის ჩემპიონთა თასზე ზაგრების „მედვეშჩაკთან“ ცნობილი მატჩების (13:21 ზაგრებში და 21:13 თბილისში) შემდეგ კენჭისყრა გაიმართა. ოთახში მსაჯებთან ერთად გუნდის კაპიტნები — ჯემალ აბაიშვილი და იუგოსლავი მილკოვიჩი მიიწვიეს. „არიოლრეშკაზე“ პირველი სიტყვის უფლებაც ჯემალმა სტუმარს დაუთმო და მილკოვიჩმაც გამოიცნო... ასე აბსურდულად ჩამოშორდა თბილისის „ბურევესტნიკი“ თავის, ალბათ, ყველაზე დიდ წარმატებას.

როდესაც ჩვენი ხელბურთის სიამაყე ჯემალ ცერცვაძე ამ დრამატულ მატჩს იხსენებდა, თქვა, ნეტავ, მე ვყოფილიყავი იმ ოთახშიო. გამიკვირდა, რას იზამდით-მეთქი, ვკითხე, რა ვიცი, იქნებ რაღაც მექნა, ჯემალი ხომ ძალიან ალალი იყოო.

მართლაც ყველა ასე იხსენებს ამ უშუალო ადამიანს. მისი ძმის, გურამ აბაიშვილის მოგონებიდან:

„ბოლომდე ენდობოდა ადამიანებს და ბოლომდე სჯეროდა მათი. მოუსვენარი იყო, მოძრავი და ფიცხი. ეს სიფიცხე თამაშშიც შველოდა. ფეთქდებადი ხასიათის გახლდათ, სიმშვიდეს ვერ უძლებდა. ჯემალი სპეციალობით ინჟინერი იყო. ძალიან კარგი ხელი ჰქონდა. კარგად ხატავდა და ხაზავდა. მეათე კლასში სწავლობდა, როცა სადიპლომოებს უხაზავდა სტუდენტებს. მუდამ მოვლენათა ცენტრში იყო. 1956 წელს, ცნობილი 9 მარტის ტრაგედიისასაც იქ იყო, ძლივს გადაურჩა სიკვდილს. თამაშს რომ თავი დაანება, ერთხანს თავისი სპეციალობითაც მუშაობდა „საქსოფლმშენში“, მაგრამ ვერ გაძლო. მოუსვენარი იყო და სკამზე რა გააჩერებდა. ისევ ხელბურთს დაუბრუნდა. ჯემალი ძალიან ახალგაზრდა, 50 წლის გარდაიცვალა ინფარქტით. ექიმებმა შემდეგ თქვეს, რომ დიდი გული ჰქონდაო.“

მართლაც დიდი გული ჰქონდა ჯემალ აბაიშვილს და სწორედ გულიანი თამაშისთვის უყვარდა იგი მაყურებელს, რომელსაც ამდენი სასიხარულო წუთი განაცდევინა.

ჩვენმა ხელბურთელებმა ამ გაზაფხულს არამარტო შედეგებით გაახარეს მაყურებელი, არამედ იმითაც, რომ ჯიგრიანად ითამაშეს და, ალბათ, როცა ახალ დაბრკოლებებს შეეჭიდებიან, მათ უკან ყოველთვის იდგება ქართველ ხელბურთელთა შესანიშნავი თაობა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელიც ჯემალ აბაიშვილი იყო.

**ილია მხეიძე**



ჯემალ აბაიშვილი კარსაც საიმედოდ იცავდა და გოლებიც გაჰქონდა

# კიბე ზეცისკენ


REUTERS ლონდონიდან

ანდრე აგასი

ორშაბათიდან კაცებისა და ქალების კლასიფიკაციას ახალი მეთაურები ჰყავს.

41 თვის თავზე ანდრე აგასიმ ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე უცნაური მოგზაურობა დაასრულა — კლაფიკაციის პირველი ადგილიდან 141-სკენ და პირიქით.

„მე არავის ვურჩევდი, ასეთი რამ საკუთარ თავზე გამოეცადა. უკან სავალი გზა ძალიან გრძელი და შრომატევადი იყო, თუმცა ამავე დროს დამაკმაყოფილებელიც" — განაცხადა უიმბლდონის ფინალში პიტ სამპრასთან დამარცხებულმა ანდრემ.

ბოლო ორი სეზონის მანძილზე ხოტორა ამერიკელს საკუთარი მისამართით, არაერთხელ მოუხდა კრიტიკის მოსმენა. 1998-ში ამბობდნენ, ელიტაში ველარასოდეს დამკვიდრდებაო — ანდრემ კი მეორე ასეულიდან პირდაპირ საუკეთესოთა ხუთეულში ამოყო თავი; 1999-ის დასაწყისში შარი მოსდეს, დიდი სლემის ტურნირებზე თავს ველარ გამოიჩენსო — აგასიმაც ჯერ როლან გაროსი მოიგო, ახლა კი ბალახის „მეიჯორის" ფინალში გააღწია.

ამერიკელის .წლევანდელ წარმატებებს მავანნი მსახიობ ბრუკ შილდსთან განშორებას და მთელი ყურადღების ჩოგბურთზე გადატანას უკავშირებენ, მაგრამ „ცისფერლაგუნელ" ლამაზმანთან ანდრეს ურთიერთობა სულაც არ გაუწყვეტია.

„ჩვენ მეგობრებად დავრჩებით" — შილდსის ეს განცხადება განქორწინების შემდეგ მხოლოდ ლამაზ ფრაზად აღიქმებოდა, მაგრამ თურმე პირიქით ყოფილა.

პარიზში საფრანგეთის ღია პირველობის მომგებმა აგასიმ აღნიშნა, ჩემს ყოფილ მეუღლეს თითქმის ყოველდღე ვესაუბრებოდი ტელეფონით და ფილმის გადაღებით დაკავებული რომ არ ყოფილიყო, აქაც აუცილებლად ჩამოვიდოდაო. თავის ლოჟაშიც კი ანდრეს მუდამ სტუმრობდა შილდსის ორი მეგობარი ქალი.

ლონდონში უიმბლდონის დროს აგასი სულაც შეხვედრია ბრუკს: „დიახ, მე იგი ვნახე, ამ წუთში კი თვითმფრინავში ზის".

ანდრეს ყოფილ მეორე ნახევართან დაკავშირებული კითხვები ძალიან აღიზიანებს-ხოლმე და ყოველნაირად ცდილობს, შილდსზე აუგი არაფერი დასცდეს. როდესაც უიმბლდონზე ჰკითხეს, რა გირჩევნიათ, სიყვარული და ქორწინება, მაგრამ სულ წაგება, თუ პირიქითო, პასუხი ასეთი იყო:

— დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველაფერს პასუხის მიღება გირჩევნიათ — ამაზე აგასი ფეხზე წამოდგა და ოთახი დატოვა.

23 წლის ლინდსი დევენპორტს ამა წლის თებერვალში დაკარგული ადგილის დასაბრუნებლად, აგასისგან განსხვავებით, ფსკერთან გახახუნება არ დასჭირვებია. ლინდსი არც შერეკილი მშობლებით იპყრობს მასმედიის ყურადღებას და არც არეული პირადი ცხოვრებით, მას ყველაფერს სიმშვიდე და მოგებები ურჩევნია.

„ლინდსის უიმბლდონზე წარმატება ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის ფასდაუდებელი რამ არის. იგი ისეთ გოგო-ბიჭებს, რომლებიც განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებითა და ნიჭით არ არიან დაჯილდოებულნი, უჩვენებს, რომ ასეთი სიმაღლეების მიღწევა მონდომებითა და დიდი გარჯითაც შეიძლება" — აღნიშნა ჯონ მაკინროიმ.

თუმცა აგასისაც და დევენპორტსაც თავიანთი ადგილის შესანარჩუნებლად უახლოესი ორი თვის მანძილზე საკმაო ოფლის ღვრა მოუწევთ: პირველს შარშან ამ დროს ორი ტიტული, ფინალი და ნახევარფინალი აქვს ანგარიშზე, მეორეს კი — ოთხი, მათ შორის აშშ-ის ღია პირველობის ტიტული.

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1. 4. | ანდრე აგასი (აშშ) | 3684 |
| 2.2. | პატრიკ რაფტერი (ავსტრია) | 3673 |
| 3. 1. | პიტ სამპრასი (აშშ) | 3594 |
| 4. 3. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 3212 |
| 5. 7. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 2810 |
| 6. 6. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2690 |
| 7. 5. | რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2431 |
| 8. 8. | ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 2408 |
| 9. 9. | მარსელო რიოსი (ჩილე) | 2370 |
| 10. 12. | ტოდ მარტინი (აშშ) | 2332 |
| 11. 10. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2313 |
| 12. 13. | გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2307 |
| 13. 11. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 2295 |
| 14. 14. | კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2292 |
| 15. 16. | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1790 |
| 16. 17. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1779 |
| 17. 18. | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1690 |
| 18. 19. | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1651 |
| 19. 20. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1607 |
| 20. 22. | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1496 |
| 21. 21. | ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) | 1399 |
| 22. 23. | ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) | 1399 |
| 23. 39. | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1321 |
| 24. 15. | გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1269 |
| 25. 24. | მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) | 1268 |
| 26. 25. | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 1255 |
| 27. 26. | ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) | 1252 |
| 28. 27. | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1220 |
| 29. 28. | ვინსენტ სპედეა (აშშ) | 1210 |
| 30. 31. | ანდრეი მედვედევი (უკრაინა) | 1204 |
| 31. 32. | ლეიტონ ჰიუიტი (ავტრალია) | 1149 |
| 41. 59. | ჯიმ კურიე (აშშ) | 927 |
| 54. 77. | ბორის ბეკერი (გერმანია) | 791 |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1. 2. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5590 |
| 2. 1. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5293 |
| 3. 3. | შტეფი გრაფი (გერმანია) | 4500 |
| 4. 5. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 3474 |
| 5. 4. | მონიკა სელეში (აშშ) | 3411 |
| 6. 7. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2639 |
| 7. 6. | იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 2340 |
| 8. 9. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 2128 |
| 9. 10. | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1942 |
| 10. 8. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1935 |
| 11. 13. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1828 |
| 12. 11. | სერენა უილიამსი (აშშ) | 1819 |
| 13. 17. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1744 |
| 14. 14. | დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1685 |
| 15. 15. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1677 |
| 16. 16. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1676 |
| 17. 18. | ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1669 |
| 18. 19. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1593 |
| 19. 20. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1553 |
| 20. 22. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1362 |
| 21. 21. | ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1357 |
| 22. 12. | ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1356 |
| 23. 24. | სილვია ფარინა (იტალია) | 1248 |
| 24. 23. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1181 |
| 25. 29. | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1089 |
| 26. 25. | ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) | 1087 |
| 27. 26. | რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) | 1057 |
| 28. 28. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1004 |
| 36. 86. | ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) | 715 |
| 37. 129. | ელენა დოკიჩი (ავსტრალია) | 692 |
| 43. 44. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 655 |
| 47. 134. | მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) | 611 |
| 98. 195. | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 309 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1999-ში

| | |
|---|---|
| 1. გუსტავო კუერტენი | 1 189 639 |
| 2. ანდრე აგასი | 1 175 128 |
| 3. პიტ სამპრასი | 975 706 |
| 4. პატრიკ რაფტერი | 906 074 |
| 5. ევგენი კაფელნიკოვი | 886 873 |
| 6. მარკ ფილიპუსისი | 835 889 |
| 7. მარსელო რიოსი | 808 062 |
| 8. ტიმ ჰენმანი | 798 444 |
| 9. რიჩარდ კრაიჩეკი | 695 897 |
| 10. კარლოს მოია | 668 847 |
| 11. ტომას ენკვისტი | 593 116 |
| 12. ფელიქს მანტია | 545 057 |
| 13. ნიკოლას კიფერი | 528 268 |
| 14. ტომი ჰაასი | 488 918 |
| 15. დომინიკ ჰრბატი | 482 912 |

| | |
|---|---|
| 1. მარტინა ჰინგისი | 1 534 180 |
| 2. შტეფი გრაფი | 1 189 667 |
| 3. ლინდსი დევენპორტი | 1 160 263 |
| 4. ვინუს უილიამსი | 886 582 |
| 5. სერენა უილიამსი | 662 671 |
| 6. ანა კურნიკოვა | 525 124 |
| 7. იანა ნოვოტნა | 525 029 |
| 8. მონიკა სელეში | 469 180 |
| 9. არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 337 046 |
| 10. ნატაშა ზვერევა | 324 002 |
| 11. მარი პირსი | 319 192 |
| 12. ამელი მორესმო | 311 726 |
| 13. ელენა ლიხოვცევა | 302 657 |
| 14. ნატალი ტოზია | 286 257 |
| 15. ამანდა კუტცერი | 279 870 |



# ახალი ქვეყნის აღმოჩენა
## იაპონია წყნარი ოკეანის ჩემპიონია

სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება საუკუნის ბოლო მსოფლიოს თასის დაწყებამდე და ცხადია, ყველა მონაწილე ცდილობს, ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენოს ტურნირისთვის მოსამზადებლად.

ქართველთა მძლეველი ტონგელი „ზღვის არწივები" ამ დღეებში დასრულებულ წყნარი ოკეანის მონაპირეთა ჩემპიონატში ასპარეზობდნენ. ტურნირს, რომელიც საკმაოდ მოულოდნელი შედეგით დამთავრდა, რაგბის საერთაშორისო საბჭო სამი წლის მანძილზე არად აგდებდა, თუმცა, ამის მიუხედავად, შეჯიბრება მაინც ტარდებოდა და მისი უცვლელი გამარჯვებული კანადა იყო. წლეულს ვითარება შეიცვალა. სიდიდით მესამე რეგიონალური ტურნირი (ხუთი ერის და სამი ერის შემდეგ) ირბ-მაც აღიარა და წლევანდელი გათამაშებაც მისი პატრონაჟით ჩატარდა.

ტონგელებისთვის ეს ტურნირი მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ. გუნდის თავკაცობამ რამდენიმე ახალწვეული იხმო, რომლებმაც შესაძლოა მსოფლიოს თასზეც ითამაშონ. ამიტომაც იყო, რომ გუნდმა ვერ მიღწია ისეთ შედეგს, როგორსაც გულშემატკივარი ელოდა, თუმცა პირველობა „ზღვის არწივებმა" მაღალ ნოტაზე დაასრულეს. შაბათს, ბოლო ტურში, კანადელებთან დაპირისპირებაში პოლინეზიელებმა ტურნირზე ერთადერთი გამარჯვება მოიპოვეს და ამგვარად მიულოცეს დაბადების 81-ე წლისთავი ქვეყნის მონარქს ტაუფა აჰაუ ტუპოუ მეოთხეს. ნაკრების მწვრთნელმა პოლუტელე ტუიჰალამაკამ გუნდის გამოსვლა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და აღნიშნა, რომ მსოფლიოს თასზე მისი ბიჭები ახალზელანდიელებსა და ინგლისელებს დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ, იტალიელებს კი უპრობლემოდ დაამარცხებენ, რადგანაც იმ დროისთვის ნაკრებში უძლიერესი ტონგელი მორაგბეები მოიყრიან თავს.

პირველობა, რაოდენ გასაკვირიც უნდა, იყოს, იაპონიამ მოიგო, რომელიც წინა წლებში, ტურნირის მაჩანჩალა იყო. წლევანდელი წარმატება უფრო ლეგიონერთა დამსახურებაა, ვიდრე იაპონელთა. იაპონიის სახელისთვის წლეულს ექვსი უცხოელი ბურთაობდა — ხუთი ახალზელანდიელი და ერთი ფიჯელი. იმ ხუთი ახალზელანდიელიდან კი სამს თავის დროზე „ოლ ბლექსიში" უთამაშია.

ტურნირის ფავორიტებად სამოასა და ფიჯის მიიჩნევდნენ. ბოლო ტურამდე გამარჯვების შანსს ფიჯი ინარჩუნებდა, მაგრამ შინ სამოასგან ნაწვნევი მარცხის გამო მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. ფიჯელთა თავკაცის თქმით, გუნდმა გააუმჯობესა თამაშის ხარისხი, მაგრამ ის უდისციპლინობა, რომელიც ნაკრებშია, მთელ მონაპოვარს წყალში ყრის. სამოამ კი პირველობა სწორედ იაპონელებთან პირველ მატჩში დაკარგა, როცა მსაჯის მიერ წამატებულ დროში წააგო. არადა, მომდევნო შეხვედრებში სამოელებმა იაპონელებზე გაცილებით კარგად ითამაშეს. ასე რომ, ამ გუნდების დაპირისპირება მოგვიანებით რომ გამართულიყო, შესაძლოა პირველობას სხვა გამარჯვებული ჰყოლოდა.

ექვსგუნდა პირველობის კიდევ ორი მონაწილე აშშ და კანადა გახლდათ. ამერიკელებმა ხუთი მატჩიდან სამში იმარჯვეს და მესამე ადგილი მოიპოვეს, რაც ამ გუნდისთვის დიდი მიღწევაა. იაპონელთა დარად, ამერიკელებმაც უცხო ქვეყნის შვილთა დამხარებით მიაღწიეს წარმატებას. რომელთა შორის ტონგელები, ფიჯელები და სამოელები სჭარბობენ.

წინა ჩემპიონატების გამარჯვებული კანადა კი წლეულს ბოლო, მეექვსე ადგილს დასჯერდა და გათამაშების ისტორიაში პირველი გუნდი შეიქნა, რომელმაც ერთი მატჩიც ვერ მოიგო.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 5 | 4 | 0 | 1 | 160:19 | 3 | 19 |
| სამოა | 5 | 3 | 1 | 1 | 111:91 | 3 | 17 |
| აშშ | 5 | 3 | 0 | 2 | 124:115 | 2 | 14 |
| ფიჯი | 5 | 3 | 0 | 2 | 124:127 | 2 | 14 |
| ტონგა | 5 | 1 | 1 | 3 | 88:129 | 2 | 8 |
| კანადა | 5 | 0 | 0 | 5 | 90:116 | 4 | 4 |

# მაშოლეტი, მაშ!

მსოფლიოს თასისთვის მზადებას იტალიის ნაკრებიც აგრძელებს, ოღონდ ახალი მწვრთნელის თავკაცობით. საქმე ისაა, რომ რჩეულ იტალიელ მორაგბეთა ბოლო დროს ასე მოხშირებულ მარცხს ნაკრების მწვრთნელი, ფრანგი ჟორჟ კოსტე შეეწირა. უთანხმოება კოსტესა და იტალიის რაგბის კავშირს შორის კარგა ხნის წინ წარმოიშვა. დაძაბულობამ კულმინაციას ორი კვირის წინ მიაღწია, როცა იტალიელები სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა" 101:0 გაანადგურეს.

აპენინელთა ახალი თავკაცი მასიმო მაშოლეტი 41 წლისაა და კოსტეს თანაშემწე იყო. მწვრთნელყოფილი მსოფლიოს თასის მერე აპირებდა თანამდებობის დატოვებას და თავის მემკვიდრედ სწორედ მაშოლეტის ასახელებდა, მაგრამ ყველაფერი გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ამას კოსტე წარმოიდგენდა.

მაშოლეტი კლუბ „აკვილაში" თამაშობდა და 1981 და 1982 წლებში იტალიის ჩემპიონი გახდა. ქვეყნის ნაკრებში კი 54-ჯერ ითამაშა და 17 ლელოც გაიტანა.

**პაატა თოთაძე**



სამხრეთაფრიკელებმა იტალიელებიც გაჭყლიტეს და მათი მწვრთნელი ჟორჟ კოსტეც შეიწირეს

# ბოლო ჩემპიონი აქ აღარ ცხოვრობს

**გურამ გედეხაურს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება — 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჯერჯერობით ამ ტიტულის მფლობელი ბოლო ქართველია. ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა ისიც მოსკოვში დაამკვიდრა. იქიდან გურამი შეძლებისდაგვარად ეხმარება ქართველ მოჭიდავეებს. ამ დღეებში გურამ გედეხაური თბილისს ესტუმრა. მოუცლელობის გამო ინტერვიუსთვის კარგა ხანს ვერ მოვიხელთეთ. გუშინ, როგორც იქნა, დილის ათის ნახევარზე თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსის, ვლადიმერ კანკავას სამუშაო ოთახში შევხვდით**



[illegible] ფოტო

**— თქვენი მოუცლელობა რას მივაწეროთ — მონატრებული ახლობლების მონახულებას თუ საქმიან ურთიერთობებს?**

— ცოტ-ცოტა ყველაფერს, მაგრამ უფრო მაინც მეგობრების მონატრებას.

**— დიდი ხანია, თბილისში არ ყოფილხართ?**

— ორი თვის წინ ჩამოვედი ბათუმში მეგობრის ქორწილში, იქიდან კი თბილისში.

**— ვლადიმერ კანკავასთან ასე დილაადრიან მხოლოდ მოსანახულებლად არ მოხვიდოდით. ორივე ყოფილი მოჭიდავე ბრძანდებით. ეს კი მაფიქრებინებს, რომ ერთმანეთთან საქმეც გაკავშირებთ.**

— ვლადიმერ კანკავა ერთ-ერთი მათგანია, ვინც რეალურად აკეთებს ქართული სპორტის და კონკრეტულად ჭიდაობის საკეთილდღეო საქმეს. ამიტომ თბილისში ყოველი ჩამოსვლისას ვნახულობ. გარდა ამისა, ის ხელმძღვანელობს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინლს“. ეს საზოგადოებაც გვაერთიანებს.

**— საქმიან ურთიერთობებზე პირდაპირ საუბარს თავს არიდებთ, თუმცა ვიცი, რომ სპორტის მაღალჩინოსნებსაც შეხვდით.**

— მე ყველაფრით ჭიდაობასთან ვარ დაკავშირებული. ძალიან მინდა, ამ სახეობას რალაცით დავეხმარო. ამიტომაც ვტრიალებ ამ წრეში და ვცდილობ, მისი საწუხარი გავიზიარო.

**— კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყოდით, რას აპირებთ?**

— ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ახლა მხოლოდ ვმსჯელობთ ჭიდაობის პრობლემებზე.

**— მაგრამ პრაქტიკულადაც ეხმარებით მოჭიდავეებს. ახლახან, ევროპის ჩემპიონატზე მიმავალ ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა“ ნაკრებს, რომელიც მოსკოვში ორი დღით შეფერხდა, დიდი დახმარებაც გაუწიეთ.**

— დიდი არაფერი, უბრალოდ, ვიცი, რომ ჩვენს გუნდებს ფინანსურად ყოველთვის უჭირთ. ამიტომ ვცდილობ, როგორც შემიძლია, დავეხმარო.

**— მოსკოვში რას საქმიანობთ?**

— ბიზნესში ვარ.

**— დიდი ხანია, იქ ცხოვრობთ?**

— მალე ხუთი წელი გახდება.

**— თქვენც, ალბათ, მაშინდელმა ვითარებამ გაიძულათ, წასულიყავით.**

— დიახ, ასე იყო.

**— თქვენს ბიზნესს თუ აქვს კავშირი სპორტთან ან საქართველოსთან?**

— საქართველოსთან — არა, სპორტთან — კი, ოღონდ რუსულთან.

**— კონკრეტულად?**

— ჩვენი ფირმა ფინანსურად ეხმარება რუსეთის ჭიდაობის ფედერაციას.

**— ეს ფირმა რას საქმიანობს?**

— სიგარეტის ბიზნესშია ჩართული.

**— თქვენი იქ მუშაობიდან გამომდინარე, ჩვენს ჭიდაობის ფედერაციასაც ხომ არ გადააფარებს მოწყალების კალთას?**

— მე ამ ფირმის რიგითი თანამშრომელი ვარ, ამიტომ ბევრის გაკეთება არ შემიძლია. ფირმები რუსეთშიც ისე არ მომძლავრებულან, მთლიანად დააფინანსონ სპორტი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვათა დახმარებაზე. რაც შეეხება პირადად მე, როგორც გითხარით, ჩვენებურ მოჭიდავეებს ყველანაირად დავეხმარები.

**— რუსეთის მოჭიდავეებს ასეთი შემწეები რომ ჰყავთ, ალბათ, ამიტომაც ინარჩუნებენ წამყვან ადგილს საჭიდაო სამყაროში?**

— მდიდარიც არ ეთქმის. მასაც უჭირს, მაგრამ მოსკოვში დამხმარე მაინც მეტია. ამას სპორტული ბაზებიც დაუმატეთ და ...

**— ჩვენთან ამბობენ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია წესებს ხშირად იმიტომ ცვლის, რომ რუსების და ალექსანდრ კარელინის ბატონობას ბოლო მოუღოსო. რა დამოკიდებულება გაქვთ კარელინთან და თუ იცით, კიდევ დიდხანს აპირებს ჭიდაობას? ან ალექსეი გლუშკოვს თუ იცნობთ? ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ერთობ აქებენ, რუსებს ახალი კარელინი გამოუჩნდათო.**

— ახალი კარელინი ამ საუკუნეში დაბადებას ველარ მოასწრებს, მომავალ ასწლეულში კი ვნახოთ. ნამდვილ კარელინს კი ჯერ კიდევ საბჭოთა ნაკრებიდან ვიცნობ. იქ ჩვენ ერთად გვიწევდა გამოსვლა. აი, როდემდე აპირებს ჭიდაობას, ვერ გეტყვით. ალბათ, ოლიმპიადაზეც გამოვა. რაც შეეხება გლუშკოვს, ის მართლაც ძლიერი მოჭიდავეა. შეიძლება ითქვას, რუსეთში ერთ-ერთი უძლიერესიც. წლევანდელი ევროპის ჩემპიონატიც ხომ დებიუტანტმა მოიგო. მერე რა, რომ პოდუბნის ტურნირზე წააგო და შეიძლება წლევანდელ მსოფლიოზე ვერ მოხვდეს, მომავალში ნამდვილად ბევრს მიაღწევს.

**— თქვენ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბოლო ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ბრძანდებით, ამაზე რას გვეტყოდით?**

— სამწუხაროდ, ასეა... ალბათ, ყველაფერი მაინც ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ჩავარდნა ხომ მარტო ჭიდაობაში და საერთოდ, სპორტში არაა. თუმცა მე მჯერა მომავლისა. ვინ იცის, ეგებ მალე ისევ გვეყოლოს მსოფლიოს ჩემპიონი. იქნებ ეს ჩემი თანასოფლელი, სართიჭალელი ხვიჩა ბიჩინაშვილიც იყოს, იქნებ სხვაც, მაგრამ ამ ბიჭს ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად ვთვლი.

**— თქვენი ოპტიმიზმი რას ემყარება? ამ კანდიდატებს ხომ ამხელა წარმატების მისაღწევად საჭირო პირობები არა აქვთ?**

— პირობების მართლა რა გითხრათ, მაგრამ ტრადიცია ნამდვილად არის. ამას ემატება სპორტსმენების და მწვრთნელების უნარი და მონდომება.

**— ჭიდაობა თქვენს შემდეგ ბევრად შეიცვალა?**

— წესების ასე ხშირად ცვლა გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ჭიდაობა ამით ნამდვილად კარგავს ხიბლს. ლამის ყოველ ტურნირზე იცვლება რალაც. მწვრთნელ-სპორტსმენები ერთი წესის ათვისებას ვერც კი ასწრებენ, რომ ის უკვე ახლით იცვლება. ამას სანახაობრივი მხარეც ეწირება.

**— კიდევ დიდხანს აპირებთ მოსკოვში დარჩენას?**

— ვერ გეტყვით... ხუთი წლის წინ საქართველოდან წასვლაზე არც ვფიქრობდი, მაგრამ ახლა მოსკოვში ოჯახით — მეუღლითა და ქალ-ვაჟით ვცხოვრობ. როგორც უფლის ნება იქნება...

**— ვაჟიშვილსაც მოჭიდავედ ხომ არ ზრდით?**

— ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მსურს!

**— მას თუ უნდა?**

— ჯერჯერობით კი, მაგრამ ჯერ პატარაა — ხუთი წლის.

**— ესე იგი, სამომავლოდ თქვენი ოჯახიდან და გვარიდან ისევ შეიძლება ფალავანს ველოდეთ?**

— ეს ჩემი დიდი სურვილია.

ირაკლი თავაძე



# დეიმონი დემონებს დანებდა



დეიმონ ჰილი: ეს რა გავიგე?!

ᲓᲔᲘᲛᲝᲜ ᲰᲘᲚᲘ იღბლიანი მრბოლი არასოდეს ყოფილა: 1993 წელს უილიამსში მივიდა და თანაგუნდელი ალან პროსტი მის ნაცვლად აირტონ სენას ეხმარებოდა, 1996-ში ჩემპიონი გახდა, მაგრამ წარმატებისთვის დაჯილდოვების ნაცვლად ფრენკ უილიამსმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და დეიმონიც ფორმულა 1-ის ყველაზე სუსტ გუნდ „ეროუზში“ გადავიდა.

ეგ კი არა, ჰილს პენსიაზე გასვლაც არ აცალეს თავის გემოზე.

დეიმონი დიდ სპორტთან გამოთხოვებას თავდაპირველად საფრანგეთის გრან პრის შემდეგ აპირებდა, მაგრამ მისი გუნდის — „ჯორდანის“ მთავარმა სპონსორმა — ფირმამ „ბენსონ ჰეჯიმ“ სთხოვა, მომდევნო ეტაპი დიდ ბრიტანეთში ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისააო და „სილვერსტოუნის“ ტრასაზე ასპარეზობის შემთხვევაში დიდ ფულად პრემიასაც დაჰპირდა.

ბოლოს და ბოლოს ჰილი დათანხმდა ინგლისში რბოლაზე, მაგრამ ახლა სხვა მხარის კრიტიკის ქარცეცხლში მოჰყვა, აქაოდა ფულს დახარბდაო.

მოკლედ, ვაის გაყრილმა და უის შეყრილმა დეიმონმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რბოლიდან მიღებულ თითოეულ ცენტს საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადავცემო. ჰილი, რომლის ოთხი შვილიდან ერთ-ერთი დაუნის სინდრომიანია, ფულს სწორედ ამ დაავადებისა და ლეიკემიის საკვლევ ცენტრებს უწყალობებს.

გასულ კვირაში ინგლისელმა პილოტმა სილვერსტოუნზე ტესტებში მიიღო მონაწილეობა და თანაგუნდელ ჰაინც-ჰარალდ ფრენცენზე უკეთესი შედეგებიც კი აჩვენა: „წლეულს მანქანის ტარებამ პირველად მომანიჭა სიამოვნება. ეს ეტყობა იმის დამსახურებაა, რომ ბოლიდში რამდენიმე ცვლილება მოხდა. „ფერარიში“ ან „მაკლარენში“ რომ ვიყო, იქნებ სეზონი ჩამემთავრებინა კიდეც, მაგრამ არაკონკურენტუნარიანი მანქანით ასპარეზობა არ მიზიდავს“.

„ფერარის“ მრბოლი ედი ირვინი სრულიად ამართლებს ჰილის გადაწყვეტილებას: „არ ვიცი, სილვერსტოუნის შემდეგ რბოლაში მიიღებს თუ არა მონაწილეობას დეიმონი მაგრამ თუ კარიერას ამით დაასრულებს, მისი ზედმიწევნით მესმის. თუ თავში სიცარიელეს გრძნობ და ჩვეულ დონეზე ვერ ასპარეზობ, უკვე წასვლის დროა. მე ნამდვილად ვერ შევძლებდი ასე გაგრძელებას.“

ჰილის ძველმა „მტერმა“, მიხაელ შუმახერმაც არ დატოვა ეს ფაქტი უკომენტაროდ: „სამწუხაროა, თუ მართლა გადაწყვიტა წასვლა. მართლაც კარგი მრბოლი იყო და მსოფლიოს ჩემპიონიც დამსახურებულად გახდა. ჩემი და დეიმონის პაექრობები სარბოლო სამყაროს ინტერესს მატებდნენ. აშკარაა, რომ მის გარეშე ფორმულა 1 გაღარიბდება“.

ჰილი და „შუმი“ განვლილი სეზონების მანძილზე შემთხვევას არ უშვებდნენ, ერთმანეთისთვის კბილი არ გაეკრათ, მაგრამ, გერმანელის მსგავსად, მოსალოდნელმა „პენსიამ“ ინგლისელსაც შეაცვლევინა აზრი. ჰილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ფორმულა 1-ის ყოველი ეპოქა რომელიმე მრბოლის სახელთანაა დაკავშირებული. ბედნიერი ვარ, რომ „შუმახერის ეპოქაში“ მომიხდა ასპარეზობა და ერთ-ერთი ვიყავი იმ მცირეთაგან, ვინც თითქმის თანაბრად ებრძოდა მას.“

ძახა არჯევანიძე

# შუმახერი, კულჰარდი და ვურცი ფორმულის მომავალზე ფიქრობენ



დევიდ კულჰარდი

ᲒᲠᲐᲜ ᲞᲠᲘᲡ პილოტთა ასოციაციის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მიხაელ შუმახერმა, დევიდ კულჰარდმა და ალექსანდრე ვურცმა ავტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას წარუდგინეს წინადადებები, რომლებიც მათი აზრით უფრო სანახაობრივსა და უხიფათოს გახდის ფორმულა 1.

ამ წინადადებების არსი ის არის, რომ უფრო გაიოლდეს შეჯიბრების ყველაზე საინტერესო, ემოციური მომენტი — გასწრება. პილოტთა აზრით, ამ მიმართულებით ყველაზე სწორი იქნებოდა აეროდინამიკური დაწოლის შემცირება საბურავების გზის საფართან მექანიკური შეჭიდების ზრდასთან ერთად. უფრო კონკრეტულად: უკანა ანტიფერდის ეფექტურობის შემცირება ანდა ამ ანტიფერდების სპეციფიური სტანდარტიზაცია უკლებლივ ყველა ბოლიდისთვის; ფართო და სწორ ზედაპირიანი საბურავების შემოღება. ავტომობილის გაფართოება; ბორდიურების სიმაღლის უნიფიცირება უკლებლივ ყველა ტრასაზე; სამუხრუჭე დისკების სისქის გაზრდა ისეთი ავარიების თავიდან ასაცილებლად, როგორიც შემთხვა ფრენცენს კანადის დიდ პრიზზე. მაშინ გერმანელ მრბოლს სწორედ სამუხრუჭე დისკმა უმტყუნა. პილოტებისთვის აგრეთვე სასურველი იქნებოდა ხრეშიანის ნაცვლად მოასფალტებული უსაფრთხოების ზოლები.

ცხადია, ეს კატეგორიული მოთხოვნა არ არის — განაცხადეს პილოტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა, ეს არის ჩვენი წინადადებები და იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხებს ფედერაციის პრეზიდენტთან მაქს მოსლისთან ერთად განვიხილავთო.

# უილიამსი საშიში ხდება

„ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘᲡ“ კომერციულ მომავალს მყარი საფუძველი შეექმნა მას შემდეგ, რაც დაიდო ხელშეკრულება „უილიამსსა“ და BMW-ს შორის. ხელშეკრულება ძალაში შედის მომავალი სეზონის დასაწყისიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ 2000 წელს „უილიამსს“ BMW ძრავა და მისივე ფინანსური ხელშეწყობა გარანტირებული აქვს.

ამ ხელშეკრულებამ წერტილი დაუსვა „უილიამსისა“ და „როტმან ტობაკო გრუპის“ თანამშრომლობას, რომელიც ექვს წელიწადს გრძელდებოდა და 32 გრან პრისა, მსოფლიოს ჩემპიონისა და კონსტრუქტორთა თასის 5 ტიტულში აისახა.

ირაკლი ბერიაშვილი




გზადაგზა და ყანა-ყანა ლავალიდან ბლუამდე

# ჩიპოლინიმ ზაბელს დაბადების დღე ჩაუმწარა

იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ (საეკო), ქომაგების გასახარად „ტურ დე ფრანსის“ მეოთხე ეტაპი მოიგო. ეტაპი, რომელიც ველომრბოლელებმა სარეკორდო საშუალო სიჩქარით (50 კმ/სთ-ზე მეტი) გაიარეს. პირველ სამ ეტაპზე ბელგიელი ტომ სტეელსისა და ესტონელი იან კირსიპუუს ჩრდილში მყოფმა ჩიპოლინიმ დაამტკიცა, რომ სპრინტერებს შორის იგი ერთ-ერთ უძლიერესად რჩება. მან ფინიშის ხაზზე გერმანელ ერიკ ზაბელსა და ავსტრალიელ სტიუარტ ოგრედის აჯობა, რომლებიც ჯერჯერობით თითქმის ყველა საფინალო სპრინტში იბრძვიან, მაგრამ პირველობა ვერაფრით მოუხერხებიათ.

საერთო ჩათვლაში ლიდერის ყვითელი მაისურა იან კირსიპუუმ შეინარჩუნა, რომელმაც საშუალედო ფინიშზე საპრემიო წამების მოპოვება შეძლო, საბოლოოდ კი რბოლა მთავარ პელოტონთან ერთად დაამთავრა. „კაზინოს“ წევრი მეორე ადგილზე მყოფ ოგრედის 16 წამით უსწრებს.

ჩიპოლინიზე კი ამბობდნენ, უკვე წარსულს ჩაბარდა მისი ბატონობაო, მაგრამ 32 წლის იტალიელმა ყველას აჩვენა, რომ იგი კვლავინდებურად შეუდარებელია, როცა რბოლის ბოლო 500 მეტრი სწორ და უმოსახვევო გზაზეა გასავლელი. „იდეალური სპრინტი იყო. მთელმა გუნდმა მშვენივრად იმუშავა, განსაკუთრებით უკანასკნელ კილომეტრებზე. ეს ამ ტურნირზე ჩემი პირველი წარმატებაა და უზომოდ კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა იტალიელმა პეპელამ.

ლავალიდან ბლუამდე ველომრბოლები ძალიან ჩქარა მივიდნენ. საშუალო სიჩქარე 50,355 კმ/სთ იყო, რაც 1993 წლის ევრე — ამიენის ეტაპის რეკორდული სიჩქარის (49,417 კმ/სთ) გაუმჯობესება გახლდათ. რბოლის პირველი საათი ველოსიპედისტებმა 52,1 კმ/სთ სიჩქარით იარეს, შემდეგი 60 წუთი კი 52,4-ით. ამის მიუხედავად, ათმა მრბოლმა, საშუალედო სპრინტისას, მაინც შეძლო წარმატებული შეტევის განხორციელება და დაახლოებით 40 კილომეტრი მათ მთავარ ჯგუფს მოწყვეტილებმა იარეს. შემდეგ კი მხოლოდ ფრანგმა ანტონი მორენმა და იტალიელმა ჯანპაოლო მონდინიმ შეძლეს პელოტონს მოწყვეტა. მათმა უპირატესობამ დღის ერთადერთი ალმართის „ბომონ-ლა რონსის“ დაძლევის შემდეგ 5 წუთსა და 40 წამს მიაღწია.

თუმცა, მათი დიდი მცდელობის მიუხედავად, „ჩქაროსნულმა პელოტონმა“ მაინც შეძლო მათი ჩაყლაპვა და ეტაპის გამარჯვებულიც მასიურმა სპრინტმა გაარკვია. თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ზაბელს უნდა მოეგო, მაგრამ ფანინისა და შირეას დახმარებით ჩიპოლინიმ გერმანელს დაბადების დღე ჩაუმწარა.

„ჩემი დღეობა იყო და ძალიანაც მინდოდა, საკუთარი თავისთვის საჩუქარი მეძლვნა, მაგრამ მარიომ არ მომცა ამის საშუალება. ვწუხვარ საკუთარი თავის და განსაკუთრებით თანაგუნდელების გამო. მათ ძალიან ბევრი გაილეს ჩემი გამარჯვებისთვის, თუმც ამაოდ. „ტურის“ დაწყების შემდეგ მეტოქეთა უმრავლესობას ვჯობნი, მაგრამ ბოლო მომენტში ვიღაც მაინც ახერხებს ჩემს გადასწრებას. ორჯერ მეორე ადგილი დავიკავე, ერთხელ — მესამე და ერთხელაც — მეოთხე. იმედია, პირველობასაც მოვესწრები“ — სინანულით, მაგრამ ოპტიმისტურად საუბრობდა „ტელეკომის“ ლიდერი ერიკ ზაბელი.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეოთხე ეტაპი**

ლავალი — ბლუა, 194,5 კმ

1 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) — 3 სთ 51 წთ 45 წმ
2 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
4 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი)
5 იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო)
6 ნიკოლა მინალი (იტალია, კანტინა ტოლო)
7 კრისტოფ კაპელი (საფრანგეთი, ბიგ მატი)
8 დამიენ ნაზონი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო)
9 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, პოსტალი)
10 ჯეი სვიტი (ავსტრალია, ბიგ მატი) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 იან კირსიპუუ — 17 სთ 10 წთ 40 წმ
2 სტიუარტ ოგრედი — +16 წმ
3 ტომ სტეელსი — +21
4 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +24
5 ერიკ ზაბელი — +32
6 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +35
7 ჯორჯ ჰინკეპი — +38
8 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +39
9 მარიო ჩიპოლინი — +44
10 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, კაზინო) — +45




**ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია**

**მეოთხე ეტაპი. ლავალი — ბლუა**



ბლუას საფრანგეთში ხელოვნებისა და ისტორიის ქალაქს უწოდებენ. ეს ძირითადად ფრანგთა მეფეების, ლუი XII-ის (1462-1515) და ფრანსუა I-ის (1494-1547) დამსახურებაა. პირველი სწორედ ბლუაში დაიბადა და 1498 წელს მეფედ კურთხევის შემდეგ თავისი რეზიდენცია იქ გადაიტანა. მისი გარდაცვალების შემდეგ ფრანსუა I-ს სხვა ნავსაყუდელის ძებნა არც კი უფიქრია და სამეფო კარი თავისი არქიტექტორებით, მხატვრებითა თუ მწერლებით კიდევ 32 წელს დარჩა ბლუაში. ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობა „ბლუას ციხე“, რომელიც ფრანგული კულტურის უდიდეს ძეგლად ითვლება, ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეშია აგებული. იგი ჯერ რენესანსის დროს, მერე კი მე-17 ასწლეულში განახლდა ცნობილი არქიტექტორის ფრანსუა მანსარის მიერ. 1840 წელს „ბლუას ციხე“ დიდი ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს ინიციატივით „ისტორიულ ძეგლად“ გამოცხადდა და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ გადავიდა.

**ტურის ლეგენდები**

1909 წელი

**გამარჯვებული ფრანსუა ფაბერი**




ეს „ტური“ ისტორიას შემორჩა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, და ეს უდიდესი მრბოლის, ფრანსუა ფაბერის გამო. 22 წლის ფაბერმა უსაშინლეს მეტეოროლოგიურ პირობებში საოცარი გამარჯვებები მოიპოვა.

წარმოშობით ლუქსემბურგელსა და სხვადასხვა პორტებში დოკერად ნამუშევარ ფაბერს თანამედროვენი „კოლომბის კეთილ გოლიათს“ უწოდებდნენ. ზრდილმა, დიდი ძალისა და მადის პატრონმა ფრანსუამ თავისი პირველი „ტური“ (1907წ) მეშვიდე ადგილზე დაამთავრა, 1908 წელს კი ოთხი ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლაში მხოლოდ პეტი ბრეტონს ჩამორჩა.

1909 კი მისი ტრიუმფის წელი იყო. შეჯიბრების პირველ ეტაპზე რუბეში იგი საფინიშო სპრინტში დამარცხდა თანაგუნდელ ვან ჰოვარტთან. ამის მერე კი ამინდი გაფუჭდა. 7-დან 13 ივლისამდე ტურნირს წვიმა, თოვლი, ყინვა, ქარი და ტალახი სდევდა თან და 50 ველოსიპედისტმა საერთოდ უარი თქვა „ტურში“ ასპარეზობაზე.

გაავებულ ბუნებასთან ჭიდილი თითქოს უფრო სიამოვნებდა, ვიდრე დარში რბოლა. რუბედან მეცამდე (398 კმ) წვიმასა და სიცივეში, პელოტონს მოწყვეტილმა ფაბერმა, 200 კილომეტრი (!) იქროლა და მის დასახვედრად მისული დედის თვალწინ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ბელფორში მესამე ეტაპის ბოლოს საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი გარიგუ მასთან უკვე 33 წუთს (!) აგებდა — „გლადიატორმა“ ხომ ალზასის მთებშიც გაიმარჯვა. ეტაპის მთავარ უღელტეხილზე მხოლოდ +4 იყო ჰაერის ტემპერატურა და სპორტსმენებს უკვე ტრადიციად ქცეული ცივი წვიმაც ასველებდათ.

მეორე დღეს, უფრო სწორად, ღამის ორ საათზე, 3000 ადამიანი დაესწრო მეოთხე ეტაპის სტარტს. ჭაობები, გზებზე ლამის მუხლამდე ტალახი, ველოსიპედის ჯაჭვის გაფუჭება — ფაბერი ვერაფერმა შეაჩერა. ლიონამდე უკანასკნელი 62 კილომეტრი მან კვლავ მარტოობაში გაატარა და მის სანახავად თავმოყრილი 20000 ლიონელიც ოვაციით შეხვდა. ყველა აღტაცებული იყო კაცით, რომელსაც გარიგუმ „ფენომენი“ უწოდა, ვისზეც მენეჯერმა ბოჟემ თქვა, თითქოს ციდან ღმერთი ჩამოვიდა ველოსიპედზე შესაჯდომადო.

ლიონიდან გრენობლამდე „ფენომენი“ ორჯერ წაიქცა საშინელ ქარში და ცხენმაც ტყუპი წიხლით მისი „ბედაური“ საკმაოდ დააზიანა, მაგრამ „პორტის“ უღელტეხილის 21 კილომეტრის გავლას მან საათზე ოდნავ მეტი დრო მოანდომა და კვლავ გაიმარჯვა. მეცი, ბელფორი, ლიონი, გრენობლი — ზედიზედ მოგებული ოთხი ეტაპით იგი 1906 წლის ჩემპიონ რენე პოტიეს გაუტოლდა. მაგრამ ეს კიდევ არ იყო დასასრული.

მეტოქეებთან შედარებით იგი მთებსა და გზის სხვა სიძნელეებს ძალიან იოლად ძლევდა. მუდმივად მოღიმარმა, მორცხვმა და ზრდილობიანმა „გოლიათმა“ გრენობლიდან ნიცამდე „ლაფრეის“, „ბეიარის“ და „ვერჟონის“ ალმართები იოლად დაძლია და 346-კილომეტრიანი გზა კვლავ პირველმა გალია. ნახევარი „ტურის“ შემდეგ ფაბერი უკვე ჩემპიონი იყო და პარიზამდე მშვიდად იარა. ერთადერთი, ბორდოში ვერ შეიკავა თავი და დედას ეტაპის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თაიგული გაუგზავნა. დანარჩენ დროს კი თავისი გუნდის, „ალსიონის“ წევრებს დიდსულოვნად ეხმარებოდა წარმატების მიღწევაში.

# შეხვედრა წარსულთან

1930 წლიდან მოყოლებული 60-იანი წლების ბოლომდე „ტურ დე ფრანსი“ დღევანდელობისგან განსხვავდებოდა. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში ველომრბოლელები ეროვნულ ნაკრებებში იყვნენ გაერთიანებულნი და ყველანაირ ხარჯებს ორგანიზატორები ფარავდნენ და არა გუნდების სპონსორები.

რამდენიმე წელია, არსებობს იდეა, რომ ველოსპორტის უმთავრეს შეჯიბრში ეროვნული ნაკრებების ინსტიტუტი დააბრუნონ, რადგან ამის საშუალებით დოპინგთან ბრძოლა უფრო გაადვილდებაო. წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ეს თუ წარსულში დაბრუნება, ამაზე დავა დაუსრულებლად შეიძლება. ველოსპორტში მოსაქმეთა უმეტესობა, ამ იდეას „უტოპიურს“, ანდა უკეთეს შემთხვევაში „ძნელად განხორციელებადს“ ეძახის და ამის მიზეზად ეკონომიკური ფაქტორები მოჰყავთ. მართლებიც არიან, რადგან ამ შემთხვევაში სპონსორები ველომრბოლნებს დიდ თანხებს აღარ გადაუხდიან (თუ საერთოდ არ შეუწყვიტეს დაფინანსება). მათი უმრავლესობაც უარს იტყვის ამ შეჯიბრში მონაწილეობაზე, რითაც „ტურის“ პრესტიჟი გვარიანად დაეცემა.

თუმცა „ტურ დე ფრანსის“ დირექტორი და დოპინგის წინააღმდეგ გააფთრებით მებრძოლი ჟან-მარი ლებლანის თქმით, თუ დარღვევები, ისეთები როგორც შარშან იყო, კვლავ განმეორდება, ტურნირის ორგანიზატორები ამ იდეას მთელი სერიოზულობით განიხილავენ.

აქვე გაგაცნობთ ზოგიერთ ველოავტორიტეტის აზრს:

სირილ გიმარი („ტურის“ ყოფილი დირექტორი) — რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრებების დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ ძნელად შესასრულებელი. ეს, ველოსპორტის ეროვნულ ფედერაციებს მეტ უფლებამოსილებას მისცემს და ამდენი კონფლიქტური სიტუაციებიც აღარ შეიქმნება. ჩემი აზრით, მთავარი ხელის შემშლელი სპონსორები იქნებიან. იდეის ხორცშესხმა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ სპონსორები დროებით იმ მოგებებზე უარს იტყვიან, რასაც „ტურის“ საშუალებით რეკლამისგან იღებენ.

ბერნარ ინო („ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებული) — თუ მრბოლები დოპინგთან დაკავშირებულ თაღლითობას გააგრძელებენ, მთლიანად ველოსპორტი და არა მარტო „ტური“, იძულებული გახდება, ეროვნული ნაკრებები აალორძინოს. სპონსორებს რეკლამა აინტერესებთ და არა ანტირეკლამა და ისინიც უარს იტყვიან, მომავალშიც ფული წყალში გადაყარონ.

ლორან ფინიონი („ტურის“ გამარჯვებული, „ევროსპორტის“ კონსულტანტი) — „ტურ დე ფრანსში“ ეროვნული გუნდების მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ველოსპორტი არაა ეროვნული ნაკრებებისთვის შესაფერისი სპორტის სახეობა. ამისთვის წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება და ეს სავსებით საკმარისია, „ტურზე“ კი ამის ცდაც კი არ შეიძლება. დააკვირდით რიშარ ვირანკსა და სხვა ფრანგ მრბოლებს შორის არსებულ პრობლემებს. როგორ გინდათ მათ ვირანკის დახმარება და მისი „გრეგარობა“ მოთხოვო? ეს არარეალურია.

სტეფან ჟავალე („ბიგ მატის“ სპორტული დირექტორი) — ეს უტოპიაა. ამაზე ისე ლაპარაკობენ, როგორც დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო გამოსავალზე, არადა, რამდენიმე წლის წინ ტომ სიმფსონი ეროვნული ნაკრების ფორმაში გამოწყობილი დაიღუპა რბოლისას დოპინგით. თანაც, ვფიქრობ, სპორსორებიც არ აიტაცებენ ამ იდეას.

ერთი სიტყვით, ამ სადავო საკითხზე დიდი სჯა-ბაასია ველოსპორტის სამყაროში, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, „წარსულში დაბრუნების“ მომხრეებმა გაიმარჯვონ.

**ნანა შატაკიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS პამპლონიდან

## დამიჭირეთო

ჯაჭვურ პამპლონაში განთქმული „ფიესტა დე სან ფერმინი" დაიწყო. შვიდი დღის მანძილზე პამპლონას შუკებში ხარები იქროლებენ, თავზეხელაღებული ბიჭები კი წინ დაუდგებიან. გუშინ, გაავებულმა ხარმა ერთი თავზეხელაღებული ლამის შეიწირა რაც შეეხება ცაში მფრინავ ჯეელს, ის ერთი მთვრალი ტურისტია, რომელიც პამპლონას კოშკზე აფოფხებულა და დაუძახია, დამიჭირეთო. დაუჭერიათ კიდეც. ასეა, პამპლონაში თავგამეტების კვირეული ჩამოდგა.







REUTERS პორტლენდიდან

## ქალები ფინალს ელიან

ქალთა ფეხბურთის პელე, კრუიფი და გერდ მიულერი ამერიკელი მეგოლე მია ჰემი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადება. ვარჯიშზე კუნთდაჭიმულ მიას მწვრთნელი სიუ ჰემონდი უვლის და სწორიცაა. ახლა მიას ცივი ნიავიც არ უნდა მიაკარონ — ათ ივლისს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია და მიაც ჩინელთა წინააღმდეგ უნდა გაუძლვეს გუნდს. ქალთა ფეხბურთის პეტერ შმაიხელი და მიშელ პრიუდომი ბრაიანა სქარი კი ნორჩ ფეხბურთელ გოგონებს ურიგებს ავტოგრაფებს. წინ მია, უკან ბრაიანა და შტატების ნაკრებიც მოგებული დარჩება.

## ავსტრია

II ტური

ლუსტენაუ 1:1 ლინცერი

0:1 დადი (11), 1:1 სტანისავლიევიჩი (89)

რაპიდი 2:0 ბრეგენცი

1:0 ვაგნერი (14), 2:0 სავიჩევიჩი (86)

რიდი 0:1 გრაცერი

0:1 რადოვიჩი (21)

შტურმი 0:1 ტიროლი

0:1 გილევიჩი (43)

## შვეიცარია

I ტური

დელემონი 1:3 სერვეტი

0:1 პეტროვი (14), 1:1 ნაჰიმანა (29), 1:2, 1:3 პეტროვი (46, 62)

გრასჰოპერი 1:1 ლოზანა

0:1 შაჰგელდიანი (53), 1:1 კაბანასი (89)

ლუგანო 1:1 ბაზელი

1:0 კროიცერი (12), 1:1 მანინი (89)

ქსამაქსი 1:1 აარაუ

1:0 ნდიაე (43), 1:1 ალექსანდროვი (62)

სტ. გალენი 2:0 ლუცერნი

1:0 ჟაირო (74), 2:0 ამოა (89)

ივერდონი 1:1 ციურიხი

1:0 ლიმა (35), 1:1 რენფერი (67)

## ნორვეგია

გადადებული მატჩები

ვალერენგა 1:3 ტრომსო

ლილესტრიომი 6:2 კონგსვინგერი

სტაბეკი 2:1 სტრომგოდსეტი

ვიკინგი 4:1 მოლდე

რუსენბორგი 2:3 ბრანი

REUTERS პამპლონიდან

## კასპაროვი — მსოფლიო



დებიუტი პრაქტიკულად დასრულდა და ცენტრში პირველი დიდი შეტაკება დაიწყო, რასაც დაფაზე ფიგურების გვარიანი შეთხელება უნდა მოჰყვეს.

| | | |
|---|---|---|
| 1 | e2-e4 | c7-c5 |
| 2 | მg1-f3 | d7-d6 |
| 3 | კf1-b5+ | კc8-d7 |
| 4 | კb5:d7+ | ლd8:d7 |
| 5 | c2-c4 | მb8-c6 |
| 6 | მb1-c3 | მg8-f6 |
| 7 | O–O | g7-g6 |
| 8 | d2-d4 | c5:d4 |





REUTERS ნანტიდან

## შვილი მამას ამხნევებს

„ტურ დე ფრანსი" გრძელდება: ნანტიდან ლავალამდე გაჭრილ მარშრუტზე „ტელეკომის" ერიკ ზაბელს შვილი რიკი აცილებს. მსოფლიოს ყველაზე აქტიური მრბოლი შვილს უცინის. ეტყობა, რიკს კარგი ფეხი აქვს.



REUTERS ეხტერიდან

## ბურუსი და ფეხბურთი

ახლა ხომ სამხრეთ ნახევარსფეროში ზამთარია. იქაური ზამთარი ცოტა უცნაური რამ არის, თუმცა მაინც ზამთარი ჰქვია. ეს ლირიკული ფოტოებიც ფეხბურთისა და პარაგვაული ზამთრის დამთხვევამ შვა. ბრაზილია — ჩილეს მატჩის დროს ჩამოწოლილმა ბურუსმა ფოტორეპორტიორებს სევდიან თემებზე წამუშავების საშუალება მისცა.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29